

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მაია მაისურაძე

**მთიულურ- გუდამაყრული დიალექტის ზოგიერთი თავისებურება
გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში**

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე
ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი

გორი

2019

ანოტაცია

დიალექტები ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ძირითადი მასაზრდოებელი წყაროა. ენის განვითარება, წინსვლა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ სალიტერატურო ენის მესვეურნი როგორ გულუხვად და გეგმაზომიერად გამოიყენებენ ამ წყაროს. სხვადასხვა დიალექტს სხვადასხვა შესაძლებლობა აქვს სალიტერატურო ენის გამდიდრებისა. სამეცნიერო ლიტერატურაში არის საუბარი იმის თაობაზე, რომ აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში. ამ შემთხვევაში, ცხადია, თავისი წილი მთიულურ-გუდამაყრულმაც შიტანა.

დიალექტის მონაცემთა სალიტერატურო ენაში შემოტანასა და დამკვიდრებაში განსაკუთრებულია მწერლის როლი. რაც უფრო ნიჭიერია მწერალი, რაც მეტად გრძნობს ენის ბუნებას, მით უფრო დიდია მისი შესაძლებლობა ენის გამდიდრების საქმეში.

როცა ვსაუბრობთ მთიულურ-გუდამაყრული დიალექტის როლზე და მნიშვნელობებზე, აქ უპირველესად გოდერძი ჩოხელის ღვაწლი გაგვახსენდება: გუდამაყრის ხეობაში დაბადებულმა და გაზრდილმა მწერალმა თავის უდავო ნიჭიერებით შეძლო ჩვენთვის გაეცნო და დაეახლოვებინა ის ენობრივი სამყარო, რომელიც ასაზრდოებდა მის შემოქმედებას.

ჩვენი სამაგისტრო შრომის მიზანიც ეს იყო- გვეჩვენებინა, გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში როგორ აისახა მთიულურ-გუდამაყრული დიალექტის თავისებურებანი.

Annotation

Dialects are the beneficial source in Georgian literature. Language development its forward moving depends on how generously and planned it will be used by the literature users. Different dialects have different opportunities to make it rich. In scientific literature there is an opinion that, east Georgian dialects contribute to establish new Georgia literary language. In this case its contribution also has Mtiuluri-Gudamakruli dialect.

The writer's role is important to bring dialect data into a literary language and establish it.

The more talented the writer is, he feels the nature of the language and the greater his ability to enrich the language. When we talk about Mtiulur-gudamakruli dialect's role and importance, we remember the merit of Goderze Chokheli. Born and grew up in Gudamakari valley, with his talent, the writer was able to introduce and make it closer to us this language world, which sheds his creation.

It was the goal of our master's work how was it reflected on Goderze Chokheli's creation Mtiulur-Gudamakruli dialectic peculiarities.

შინაარსი

შესავალი -----	5
I თავი. გოდერძი ჩოხელი - ბიოგრაფიული ცნობები, შემოქმედება(მოკლე მიმოხილვა) -----	7
1.1. გოდერძი ჩოხელის ბიოგრაფიული მონაცემები -----	7
1.2. გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ძირითადი თემატიკა -----	8
1.3. გოდერძი ჩოხელის ზოგადი დამოკიდებულება ენისადმი -----	9
1.4. გოდერძი ჩოხელის ენობრივი სამყარო -----	11
II თავი. მთიულურ-გუდამაყრული დიალექტის ზოგადი მიმოხილვა -----	14
2.1 მთიულურ-გუდამაყრული დიალექტისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენები -----	18
2.2 მთიულურ-გუდამაყრული დიალექტისთვის დამახასიათებელი მორფოლოგიური თავისებურებები -----	22
III თავი. მთიულურ-გუდამაყრული დიალექტის რა თავისებურებები აისახა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში -----	22
3.1. რა მიზნით იყენებს გოდერძი ჩოხელი დიალექტურ ფორმებს -----	22
3.2. ფონეტიკის საკითხები -----	26
3.3. მორფოლოგიური საკითხები -----	32
3.4. ნაწილაკ-მორფემოიდების საკითხი -----	44
3.5 სინტაქსის საკითხები -----	46
3.6 ლექსიკა -----	47
დასკვნა -----	49
გამოყენებული ლიტერატურა -----	54

შესავალი

გოდერძი ჩოხელი XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლობაში გამორჩეული სახეა. მან ღრმა კვალი დატოვა, ერთი მხრივ, ქართულ მწერლობაში და მეორე მხრივ, ქართულ-კინოხელოვნებაში.

გოდერძი ჩოხელის, როგორც მწერლის, ერთ-ერთი მთავარი თავისებურება ისიც იყო, რომ იგი ღრმად იყო ჩაფლული ქართული ენის წიაღში. XX საუკუნის მეორე ნახევარის მწერალთა შორის ის იყო უპირველესი, ვინც თავდაუზოგავად და ერთგულად ემსახურა ქართულ ენას. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით მის თანატოლ კოლეგებზე. გ. ჩოხელი ამ მხრივ ღირსეული გამგრძელებელია იმ ტრადიციებისა, რომელიც დაამკვიდრეს XIX საუკუნის კლასიკოსებმა - ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ და ა.შ. და რომელი ტრადიციებიც ღირსეულად გააგრძელეს მიხეილ ჯავახიშვილმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, დავით კლდიაშვილმა.... უფრო მოგვიანებით კი რევაზ ინანიშვილმა, ანა კალანდაძემ და მუხრან მაჭავარიანმა...

სწორედ ამ ღირსეული გზის გამგრძელებლად მოგვევლინა XX საუკუნის ბოლოს გოდერძი ჩოხელი.

გოდერძი ჩოხელის ენობრივი სამყაროს ერთ-ერთი მთავარი მასაზრდოებელი ის ხალხური მეტყველებაა, რომლის წიაღშიც აღიზარდა იგი - მთიულურ-გუდამაყრული დიალექტი. მოგახსენებთ, გ. ჩოხელი გუდამაყარში დაიბადა, იქ დაამთავრა რვა კლასი და შემდეგ ფასანაურში განაგრძო სწავლა.

აი, ამ მდიდარ ენობრივი „საგზლით“ მოვიდა იგი ქართულ მწერლობაში.

დიალექტური მეტყველების თავისებურებათა შემოსვლას სამწერლობო ენაში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს ქართულ სინამდვილეში. აქ რამდენიმე სახელის გახსენებაც იკმარებდა: ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი...

ნიჭიერება მწერლისა ისაა, როგორ გამოიყენებს იგი ამ თავისთვის ბუნებრივ, მშობლიურ დიალექტს და როგორ მიიტანს მკითხველამდე; რას შეარჩევს იგი იმ მდიდარი ხალხური საუნჯიდან და რას აქცევს ლიტერატურის საკუთრებად; რამდენად

მოახერხებს მწერალი ქართული ლიტერატურული ტრადიციების ლოგიკურ გაგრძელებას და რით და როგორ გაამდიდრებს ქართულ სალიტერატურო ენას.

აი, ამის ჩვენება იყო ჩვენი მიზანი, როცა სამაგისტრო ნაშრომის თემად ავირჩიეთ: „მთიულურ-გუდამაყრული დიალექტის ზოგიერთი თავისებურება გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“.

თემის სწორად გააზრებისთვის საჭიროდ ჩავთვალეთ მიმოგვეხილა ზოგადად გ. ჩოხელის შემოქმედების გზა; მთიულურ-გუდამაყრული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი და შემდეგ გვეჩვენებინა, რა აიღო ამ დიალექტიდან მწერალმა და რა არა.

ცხადია, ამ ერთი ნაშრომით ყველა პრობლემას ვერ ავსახავდით, რაც ამ თემის ირგვლივ იყრის თავს, მაგრამ, ვფიქრობთ, ძირითადად პასუხი გავეცით დასმულ კითხვებს.

I თავი. გოდერძი ჩოხელი - ბიოგრაფიული ცნობები, შემოქმედება (მოკლე მიმოხილვა)

1.1 გოდერძი ჩოხელის ბიოგრაფიული მონაცემები

გოდერძი ჩოხელი დაიბადა 1954 წლის 2 ოქტომბერს დუშეთის რაიონის სოფელ ჩოხში. ჩოხი ითვლებოდა წმინდა ადგილად. ჩოხის წმინდა გიორგის სალოცავი არის იქ და თურმე არ შეიძლებოდა იმ სოფელში მშობიარობა, ამიტომ გოდერძი ჩოხელის დედა მოსალოგინებლად წასულა ზევით მთაში თავის მშობლებთან, სოფელ ბურსაჭირში, მაგრამ იქამდე ვეღარ მიუღწევია და გზაში უმშობიარია. 40 დღე გაატარა ბურსაჭირში პატარა გოდერძიმ და შემდეგ მოუყვანიათ ჩოხში.

გოდერძიმ რვაწლიანი სკოლა ჩოხში დაამთავრა. პირველი ფილმი მეოთხე კლასში ყოფნისას უნახავს, დაინტერესებულა კინოხელოვნებით და მაშინ გადაუწყვეტია, კინომატოგრაფიისთვის დაეკავშირებინა თავისი ბედი. ბოლო ორი წელი ფასანაურში სწავლობდა საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, კინომცოდნეობის ფაკულტეტზე, თუმცა შემდეგ გადავიდა კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე.

გ. ჩოხელმა ინსტიტუტი დაამთავრა 1979 წელს და ამავე წელს მიიღეს რეჟისორად „ქართულ ფილმში“.

თეატრალურ ინსტიტუტში გ. ჩოხელის მისი პედაგოგი იყო ქალბატონი ლანა ლოლობერიძე, რომელიც აღფრთოვანებული ყოფილა გუდამაყრელი ყმაწვილის სცენარებით და მოთხრობებით.

1982 წელს გ. ჩოხელმა ცოლად შეირთო ნინო მელაშვილი. მათ ჰყავდა ორი შვილი ლუკა და ნიკოლოზი. ჩოხში ცხოვრობდა გოდერძის მამა, დედა აღარ ჰყავდა უკვე. გოდერძის ჰყავდა ერთი და ელისო, რომელიც სკოლის მასწავლებელი იყო.

გოდერძი ჩოხელი გარდაიცვალა 2007 წელს, 53 წლის, როგორც იტყვიან, შემოქმედებითი სიმწიფის ზენიტში. დასაფლავებულია მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში, ლევან გოთუას გვერდით.

1.2. გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ძირითადი თემატიკა

მწერლობა გოდერძი ჩოხელმა 1977 წელს დაიწყო. მისი ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ იგი წერდა სცენარებს და მათ უბეჭდავდნენ, როგორც მოთხრობებს.

გ. ჩოხელის პირველი წიგნი „წერილი ნაძვებს“ 1980 წელს დაიბეჭდა გამომცემლობა „მერანში“.

გოდერძი ჩოხელი ავტორია რამდენიმე პროზაული და პოეტური კრებულის: „მღვდლის ცოდვა“, „სულეთის კიდობანი“, „შემინახე, დედაო მიწავ“, „თევზის წერილები“, „მგელი“, „ბედი მდევარი“, „ბინდისფერი ხეობა“ და სხვა.

გ. ჩოხელის შემოქმედება თარგმნილია რუსულ, გერმანულ, ინგლისურ, იტალიურ და ბულგარულ ენებზე.

საკუთარი სცენარების მიხედვით, გოდერძი ჩოხელს გადაღებული აქვს ფილმები: „ადგილის დედა“, „ბაკურხეველი ხევსური“, „ლუკას სახარება“, „ადღომა“, „ბიჭის მეზობლები“, „ადამიანთა სევდა“, „მეკვლე“, „ცოდვის შვილები“, „სამოთხის გვრიტები“, „მიჯაჭვული რაინდები“, „სიყვარულის ცეცხლი“ და სხვა.

გ. ჩოხელის პირველი ფილმი იყო „ნამეხარი მუხა“, ეს მისი საკურსო ნამუშევარი იყო. შემდეგი, ფილმი იყო „ადგილის დედა“, რომელმაც მიიღო გრანპრი ქ. ობერჰაუზენში მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე.

„ბაკურხეველი ხევსური“ გოდერძი ჩოხელის სადებიუტო ფილმი იყო.

მის ფილმებს მოჰოვებული აქვს არაერთი ეროვნული და საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი და პრემია: ობერჰაუზენის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კინოფესტივალის გრანპრი, მონტე-კარლოს ფესტივალის დიდი პრიზი „ვერცხლის ნიმფა“, იაპონიის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი ქ. ხიროსიმაში, კათოლიკური ეკლესიის მიერ დაწესებული პრიზი, მართმადიდებელი ქვეყნების საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის

პატრიარქის, ალექსი II მიერ დაწესებული პრიზი, ანაპის საერთაშორისო კინოფესტივალ „კინოშოკის“ გრანპრი, ამავე ფესტივალის ჟიურის მთავარი პრიზი და პრიზი საუკეთესო სცენარისტის, პირველი ქართული კინოფესტივალის „ოქროს არწივი“ ჟიურის სპეციალური პრიზი და პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის, დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო პრემია ფილმისთვის „ცოდვის შვილები“ და სხვა.

გოდერძი ჩოხელს სრულიად ახალგაზრდას უკვე შექმნილი ჰქონდა თავისი უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული ტილოები და ფილმები, მოპოვებული ჰქონდა ორიგინალური და თვითმყოფადი ხელოვანის სახელი, უამრავი პრიზი და, რაც მთავარია, ხალხის დიდი სიყვარული. მიუხედავად ამისა, მწერალს მაინც დასჭირდა მუდარა, მოესმინათ მისთვის და არა მარტო მისთვის, მოესმინათ ყველასთვის, რიგითი მოქალაქე იქნებოდა თუ ღვაწმოსილი ადამიანი.

გოდერძი ჩოხელის მოღვაწეობა სწორედ იმ პერიოდზე მოდის, რომელიც საქართველოსთვის უმძიმესი კატაკლიზმებითა და უმნიშვნელოვანესი ცვლილებებით იყო სავსე, ამან გარკვეულწილად განსაზღვრა კიდევ მისი ცხოვრების გზა (წიკლაური, 2010, 24-26).

1.3. გოდერძი ჩოხელის ზოგადი დამოკიდებულება ენისადმი

როდესაც ვსაუბრობთ გოდერძი ჩოხელის შემოქმედების შესახებ, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი ენა.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ენას მწერლისთვის, ეს ძალიან კარგად გამოხატა მიხეილ ჯავახიშვილმა: „ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთვარესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს, გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრება“ (გოგოლაშვილი, 2019, 3)

უფრო ადრე თქვა ვაჟა-ფშაველამ: „ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომიაა და, უკეთესად რომ ვსთქვათ, - მწერლის სულია; ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“. ამიტომ ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები თუ ერთი-ორი რამ წაგიკითხავთ

წინად, შემდეგ ხელმოუწერელიც რომ შეგვხდეთ, ადვილად იცნობთ, ვის კალამსაც ეკუთვნის” (გოგოლაშვილი, 2019, 3).

ესაა, შეიძლება ითქვას, ზოგადი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა არის ენა მწერლისთვის. სხვაც შეიძლება მოგვეშველიებინა, საკითხის გასააზრებლად, ვფიქრობთ, საკმარისია.

XIX საუკუნესა და XX საუკუნის I ნახევარში ქართულ მწერლობაში ენობრივი პრობლემებისადმი ყურადღება ძალიან დიდი იყო. XX საუკუნის II ნახევარში ეს ყურადღება გარკვეულწილად მინელდა.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულების მწერალთა შორის გოდერძი ჩოხელი ის მწერალია, რომელიც, სრულიად შეგნებულად უდგება ენობრივ საკითხებს. ქართულ ენაზე ფიქრი მუდამ თან სდევს მის შემოქმედებას. ამ მხრივ იგი ბედნიერი გამონაკლისია.

გოდერძი ჩოხელისათვის დიდად პრინციპულია მწერლის დამოკიდებულება ენობრივი ფენომენისადმი.

გოდერძი ჩოხელის აზრით, „მწერალი უნდა ცდილობდეს, სანთელივით ენთოს მშობლიური ენის ტაბლაზე, რათა უფრო განათდეს ამ ტაბლაზე უხვად მიმობნეული და ხანდახან ჩრდილში მყოფი, სხვათათვის შეუმჩნეველი სიტყვები... როცა მწერალი მოკრძალებული და მონა მორჩილია დედა ენის, მაშინ დედა(ენაც ლოცულობს შვილისთვის და ღვთის დიდ მადლად იღვრება მწერალთა მიერ დაწერილ ყოველ სიტყვაში” (ციტატას ვიმოწმებთ გ. გოგოლაშვილის დასახელებული ნაშრომიდან).

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს გოდერძი ჩოხელის დამოკიდებულება დიალექტისადმი, დიალექტური ქართულისადმი. გ. ჩოხელი ერთ-ერთ ინტერვიუში წერდა: „ჩემს სოფელში მრავალფეროვნად და საინტერესოდ ლაპარაკობენ. მაგალითად, იტყვიან- **გამიხარდაი, გამიხარდაია, გამიხარდი**. სამივე სწორია, სამივე გავრცელებულია ხალხში. მწერალი ხო სიტყვის შემგროვებელია, სიტყვის მომბრუნებელი, სიტყვის გადამრჩენი. მეც შევეცადე, ეს მრავალფეროვნება მეჩვენებინა ჩემი გმირების საუბარში”.

გ. ჩოხელი განარჩევს სწორ ლიტერატურულ და „სწორ დიალექტურ” ქართულს, ანუ როგორც არსებობს სწორი სალიტერატურო ენა, ისე არსებობს „სწორი დიალექტური მეტყველება”, ე.ი დიალექტური ნორმები (გოგოლაშვილი, 2013, 285-291).

1.4. გოდერძი ჩოხელის ენობრივი სამყარო

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვაჟამ მთელი საქართველო გაცემით მიახედა ფშავის მთებისკენ და მოწიწებით ქუდი მოახდევინა. ეს სასწაულს უდრიდა- ბრძანებდა ვახუშტი კოტეტიშვილი ვაჟა-ფშაველას შესახებ. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გოდერძი ჩოხელმა ვაჟას სასწაული გაიმეორა და კიდევ ერთხელ მიგვახედა გაცემით მთისკენ, ამჯერად მთიულეთისკენ” (წიკლაური, 2010, 35)

გოდერძი ჩოხელს უზომოდ, განსაკუთრებულად უყვარდა თავისი მშობლიური გუდამაყარი. მისი სამყარო უბრალო ხალხის სამყარო იყო. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრობდა, ქმნიდა ქალაქში და მისი პროფესიული საქმიანობა ძალიან შორს იყო სოფლის ცხოვრებისაგან, ბოლომდე დარჩა ერთგული მთიულთა ცხოვრების წესისა და ტრადიციებისა (წიკლაური, 2010, 35).

გ. ჩოხელი თხრობის საკუთარ სტილს აყალიბებს. ეს არის მარტივი, გასაგები, სუფთა, ყოველდღიური სამეტყველო ენა, რომელიც მშვენივრად მიესადაგება და მორჩილად ემსახურება მის შემოქმედებით ნააზრევს. გმირების დახასიათებაში, ბუნების აღწერასა და ზოგადად გამოხატვის საშუალებებში იგი სიტყვაძუნწია, მაგრამ აქვს თავისებური გამომხატველობითი ხერხები. მწერლის სიტყვა ყოველთვის ზუსტია, მკვეთრად შეფასებითია და არა- აღწერთი, პირდაპირ გამოხატავს მის დამოკიდებულებას პერსონაჟისადმი.

დაუძლეველია გოდერძი ჩოხელის ენის ხიბლი - ერთი შეხედვით სრულიად უბრალო, მარტივი, ყოველგვარი ხელოვნურობისა და თავმოწონების გარეშე, მაგრამ მეტყველი, მგრძნობიარე, გულში ჩამწვდომი და ნამდვილი ფიქრის საუნჯე. იგი წააგავს მთის ძირიდან მოჩუხჩუხე წყაროს, რომლის გემოც ბევრმა არ იცის და თუ შესთავაზებ, - მიირთვიო, თავს შეიკავებს- რა ვიცი, გაფილტრული არ არის და რამე არ მავნოსო (წიკლაური, 2010, 47-48).

გოდერძი ჩოხელი ის მწერალია, რომლის ნაწარმოებებშიც წარმოჩენილია მისი პოზიცია ენისადმი და დიალექტისადმი. ამ მხრივ აღსანიშნავია მოთხრობა „მიჯაჭვული რაინდები”, სადაც პერსონაჟთა მეტყველებაში ვლინდება მწერლის დამოკიდებულება ენისადმი და ასევე გვხვდება დიალექტური ფორმებიც. ფაქტობრივ, პერსონაჟთა

დახასიათების ერთ-ერთი ძირითადი ხერხია მათი მეტყველება (ამ შემთხვევაში დიალექტურად თუ არქაულად შეფერილი). მოთხრობაში გ. ჩოხელის გმირები ერთმანეთს საყვედურობენ გაუმართავი ქართულის ხმარების გამო:

„ესპანური ენის დამახინჯება უფრო გეპატიება, სანჩო, ვიდრე ქართულისა, ვინაიდან ვთვლი, რომ ქართული უმშვენიერესი ენაა და ქართველები არ გვაპატიებენ მის დამახინჯებას”.

„ქართულს ნუ ამახინჯებ-მეთქი, შენ ჯოჯოხეთის გუბერნატორო”.

– „შეგაჩვენოს ღმერთმა, ყვეყნო! ქართული და ესპანური ენის დამამახინჯებელი, მიჭედებულისა კი არაა, მიჯაჭვულისა-თქო. ნუთუ იმიტომ მაინც არ უნდა სცე პატივი მშვენიერ ქართულს, რომ ესპანელებსა და ქართველებს რაღაც საერთო გვაქვს” (ჩოხელი, 2010, 17-18).

აღნიშნულ მოთხრობაში ავტორი ენობრივ საშუალებათა ფართო სპექტრს მიმართავს: ერთი მხრივ წარმოდგენილია დარეჯანის და ლუარსაბის მეტყველება, რომელიც კახური დიალექტიზმებითაა გაჯერებული:

„რა იყო, ქა?”

– დარეჯან, შენ არ გეწყინოს, მაგრამა იქა, ისეთი რამეები ვნახე, ისეთი კაცები შამხვდნენ, ისეთებს მელაპარაკნენ, რომა, ცოტა გული შამიბრაზიანდა შენზედა”.

„რა ნახე, ქა! აღარ იტყვი?”

„თუ ესე გავაგრძელებთ, სამასი წლის მერე შეიძლება აღარც ვიქნეთ ქართველები, დარეჯან, გესმის შენა! მემრე მოვა ი უცხო ხელმწიფე, მა ვინ დაუდგება წინა”!

– „სიზმრის კაცებმა ისეთი რამეები მითხრეს, შენზედაც ცოტა გული შამიეჭვიანდა”.

– „უი შენ კი შამოგველოს შენი დარეჯანი...” „ქალაღმძიც დამწერეს, სცენაზედაც გამაგორ-გამომაგორეს, კინოშიაც გამამაჭენეს”.

– „მაშა, ჩადი ეხლა შენა და შამაიყვანე”.

„დარეჯან, შაგთხოვ რომა, არშიყობა არ იყოს,- დაეჭვიანდა ლუარსაბი” (ჩოხელი, 2010, 12-30).

მეორე მხრივ თოთია და დედაბერი გამოყვანილი ჰყავს გუდამაყრელებად, რომელნიც საუბრობენ ამ დიალექტისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით:

„-დამალოს თავისი შავბნელი სარცხვინელი, თორემ ავკაფავ, ხვთის მადლმა!-
კბილებში გამოსცრა თოთიამ,-მაგისი შახედვა ჭკუდან მრევს”.

„-ყველანი რომ ი ქალაქში გაიკიფენით და ერთად გროვდებით, არ გეშინიათო?”.

-თქვენ კი ხართ ერთად, მაგრამ ე მთებსა და ადგილ-მამულს რომ მარტოკებს
სტოვებთო?” (ჩოხელი, 2010, 21-22).

ეს არის , თუნდაც, ნათელი დასტური იმისა, რომ გოდერძი ჩოხელის მხატვრულ
ნაწარმოებებში არის წარმოჩენილი მწერლის ენობრივი პოზიცია, თვალსაზრისი, დარდი
და წუხილი ენისადმი. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მთელი მისი შემოქმედება ამ
სულისკვეთებითაა გამსჭვალული; გოდერძი ჩოხელი „ენის კაცია”! ერის და ენის კაცი!
(გოგოლაშვილი, 2013, 285-291).

II თავი.

მთიულურ-გუდამაყრული დიალექტის ზოგადი მიმოხილვა

ქართული ენის დიალექტთა კლასიფიკაციის სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს (საკითხის განხილვისას ვემყარებით „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის“ II ტომს, თბილისი, 2016).

კლასიფიკაციის პირველი ცდა ეკუთვნის მ. ბროსეს. იგი ხუთ დიალექტს გამოყოფს: კახურს, იმერულს, მეგრულს, ცენტრალურ ქართულს და ოთხ „პატუას“- „კავკასიის სვანურს“, „ლაზიკის ჭანურს“, აფხაზურსა და მესხურს. ცხადია, ეს ცდა არ არის სრულყოფილი.

ქართული ენის დიალექტების სერიოზული მეცნიერული კლასიფიკაციის ცდა მოცემულია აკაკი შანიძის ცნობილ მონოგრაფიაში „სუბექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნაში“ (შანიძე, 1981). ავტორი მიანიშნებს, რომ მისი თვალსაზრისი დიალექტთა კლასიფიკაციისა სწორედ ამ პრეფიქსთა განაწილებას ეფუძნება: მეორე პირის სუბიექტური და მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარების წესის მიხედვით დღესდღეობით ცოცხალი კილოები ორ მთავარ ჯგუფად იყოფა: აღმოსავლურად და დასავლურად.

აღმოსავლურ ჯგუფს ეკუთვნიან: ქართლური, კახური, ქიზიყური, ფშაური მთიულურ - გუდამაყრული, ხევსურული, მოხეური და თუშური.

დასავლურ ჯგუფს ეკუთვნის იმერული, გურული და რაჭული (გოგოლაშვილი, არაბული, 2017, 7-11)

ა. შანიძე შენიშნავს, რომ პრეფიქსების განხილვის დროს ყურადღებას თუ არ მივაქცევთ ფონეტიკურ ცვლილებასა და სხვადასხვაობას, არამედ მხოლოდ მორფოლოგიურ აგებულებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ აღმოსავლური კილოები, ორ ჯგუფად იყოფა. თუ ამ დაყოფას საფუძვლად S2 -ის ხმარების წესი დაედო, მაშინ ქართლური კილო – ცალკე გამოიყოფა, დანარჩენი კილოები კი ცალკე (გოგოლაშვილი, არაბული, 2017, 7-11)

თუ დაჯგუფების საზომად O3 - ის ხმარების წესს მივიღებთ, მაშინ ცალკე გამოიყოფა ხევსურული, სხვები კი მეორე მხარეს მოექცევა.

თუ დაყოფის დროს უპირატესობა მიენიჭება S2 -ისა და O3 - ის ფონეტიკური ღირებულების სხვადასხვაობას, მაშინ ხევსურული, მოხეური და თუშური ცალკე გამოიყოფა აღმოსავლურ კილოებისაგან, რომელთაც ა. შანიძე „ფხოური“ უწოდებს. ამ მსჯელობის მიხედვით გვაქვს შემდეგი კლასიფიკაცია:

ა) აღმოსავლური დიალექტები:

1. ქართლური
2. კახური
3. ქიზიყური
4. ფშაური
5. მთიულურ-გუდამაყრული
6. ხევსურული
7. მოხეური
8. თუშური

ბ) დასავლური კილოები: 9. იმერული (ზემო და ქვემო)

10. გურული
11. რაჭული (გოგოლაშვილი, არაბული, 2017, 7-11)

ქართული ენის დიალექტთა განსხვავებულ კლასიფიკაციას გვთავაზობს არნ.

ჩიქობავა. იგი ორ ძირითად ჯგუფს გამოყოფს:

ა) ზარის დიალექტები:

1. ქართლური (მესხურ-ჯავახურითურთ)
2. კახური (ქიზიყურითურთ და ინგილოურით)
3. იმერული (ლექხუმურით)
4. გურული
5. აჭარული
6. იმერული
7. ფერეიდნული

ბ) მთის კილოები:

8. ხევსურული
9. თუშური

10. ფშაური
11. მთიულური (გუდამაყრულითურთ)
12. მოხეური
13. რაჭული (გოგოლაშვილი, არაბული, 2017, 7-11).

ჩვიდმეტ დიალექტს გამოყოფს ვარლამ თოფურია:

1. ხევსურული 2. მოხეური 3. მთიულურ - გუდამაყრული 4. ფშაური 5. თუშური
6. კახური 7. ქართლური 8. ჯავახური 9. მესხური 10. აჭარული 11. გურული 12. იმერული
13. ლეჩხუმური 14. რაჭული 15. ინგილოური (აზერბაიჯანში) 16. ფერეიდნული (ირანში) 17. იმერხეული (თურქეთში) (გოგოლაშვილი, არაბული, 2017, 7-11)

ორიგინალურია შოთა ძიძიგურის კლასიფიკაცია, იგი ხუთ ჯგუფად დაყოფს ქართულ დიალექტებს:

I 1. ინგილოური

2. ფერეიდნული

II

3. თუშური

4. ფშაური

5. ხევსურული

6. მოხეური

7. მთიულური

8. მთარაჭული

III

9. კახური

10. ქართლური

11. მესხური

IV

12. ზემოიმერული

13. ქვემოთარაჭული

14. ქვემოიმერული

V

15. გურული

16. აჭარული.

17. იმერხეული

წარმოდგენილ თვალსაზრისებს შორის გარკვეული სხვაობაა, საკლასიფიკაციოდ ძირითადად ეთნიკურ- ტერიტორიული პრინციპია გატარებული. დიალექტები ორ მთავარ ჯგუფად იყოფა: აღმოსავლურად და დასავლურად (გოგოლაშვილი, არაბული, 2017, 7-11)

აღმოსავლურში ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა: ბარის დიალექტები და მთის დიალექტები.

არსებულ თვალსაზრისებზე დაყრდნობით ბესარიონ ჯორბენაძემ მოგვცა, შიძლება ითქვას, დიალექტთა შემაჯამებელი კლასიფიკაცია:

I. აღმოსავლეთ საქარველოს დიალექტები:

ა) მთის დიალექტები:

1. ხევსურული

2. ფშაური

3. თუშური

4. მოხეური

5. მთიულურ-გუდამაყრული

ბ)ბარის დიალექტები

6. ქართლური

7. კახური

8. ინგილოური

9. ფერეიდნული

II. სამხრეთ -დასავლური დიალექტები:

10. მესხური (სამცხურ-ჯავახური)

III. დასავლეთ საქართველოს დიალექტები:

11. რაჭული

12. იმერული

13. ლექსუმური
14. გურული
15. აჭარული
16. იმერხეული(კლარჯული) (გოგოლაშვილი, არაბული,2017, 7-11)

2.1. მთიულურ-გუდამაყრული დიალექტისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენები

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილ კლასიფიკაციაში გუდამაყრული მეტყველება მთიულურ-გუდამაყრული დიალექტის კილოკავადაა წარმოდგენილი, მათ ძირითადი თავისებურებები თითქმის ერთნაირია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გოდერძი ჩოხელი დაიბადა და იზრდებოდა გუდამაყარში, იქ დაიწყო სწავლა, მაგრამ ბოლო ორი წელი მთიულეთში (ფასანაურში) სწავლობდა, მის შემოქმედებაში არა მხოლოდ გუდამაყრული კილოკავის თავისებურებები აისახა, არამედ მთიულურიც, თუმცა შესაძლებლობის შემთხვევაში აქცენტებს ძირითადად გუდამაყრულზე გავაკეთებთ.

გუდამაყრული მეტყველება გავრცელებულია ძირითადად გუდამაყარში, რომელიც გუდამაყრის ანუ შავი არაგვის ხეობაში მდებარეობს. შავი არაგვი გუდამაყრის ქედიდან გამოედინება და ორი მდინარისაგან შედგება: ბოსლისა და ბურსაჭილის არაგვის შენაერთს წარმოადგენს. ამ ორი მდინარის შერთვით შექმნილ ნახევარკუნძულზე, მალლობზე, სოფელი დუმაცხო მდებარეობს. იქვე, შავი არაგვის მარცხენა ნაპირას, სოფელი ჩოხი, ხოლო ამ უკანასკნელის პირადპირ არაგვის მარჯვენა ნაპირზე სოფელი ათნოხი მდებარეობს (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961).

მთიულურ-გუდამაყრულში, როგორც სახელწოდება მიგვანიშნებს, გამოიყოფა ორი კილოკავი: მთიულური და გუდამაყრული. მთიულურისა და გუდამაყრულის ძირითად განმასხვავებელ ნიშნად მიიჩნევა გრძელი ხმოვნების მქონელობა მთიულურში და უქონლობა გუდამაყრულში.

მთიულეთ-გუდამაყარი უძველესი ქართულ წერილობით ძეგლებში იხსენიება ისტორიულად „მთიულნი” ზოგადი ტერმინი იყო და აერთიანებდა საქართველოს მთიანეთის ყველა ეთნოსს (ჯორბენაძე, 1989, 275-288).

წარმოგიდგინოთ ამ დიალექტში დადასტურებულ ძირითად ფონეტიკურ პროცესებს: მთიულურ-გუდამაყრულში დაცულია ჯ : ჯ ელი, მჭარი, ჰევი. გუდამაყრულის თავისებურებათა აღწერისას ვემყარებით ბ. ჯორბენაძეს (ჯორბენაძე, 1989)

ა დასტურდება შემდეგ პოზიციებში:

ა) სახელობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვანფუძიან ორ და მეტ მარცვლიან სახელებთან: ნიკორაჲ, ვაჟაჲ, ბილიკაჲ

პარალელურად გვხვდება სრულხმოვანი -ი. ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ერთმარცვლიან სახელებს სახელობითი ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის: ძმა, მთა, ცა.

ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნების შემადგენელ ელემენტებად ფუძეუკვეცელ სახელებთან: სარეკელაჲს, სარეკელაჲთ.

პარალელურად ამ პოზიციაშიც ვადასტურებთ სრულხმოვან -ი-ს : სარეკელაჲს.

ბ) ჩაკითხვისას ხმოვანგამყარად: წავიდაჲ?

გ)მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ჰ-/ს ნიშნების პოზიციურ ვარიანტად ხმოვნების მომდევნოდ. კერძოდ, ხმოვანზე დაბოლოებული ზმნისწინის შემდეგ: გადა-ჲ -ხედუ. მო-ჲ-ყავს. ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან ზმნის ენკლიტიკის შემთხვევაში: დედა- ჲ ყოლია „დედა ჰყოლია“. მთიულურ-გუდამაყრულში გვხვდება შემდეგი ფონეტიკური მოვლენები:

რეგრესული ასიმილაცია: აე >ეე, აო>ოო, იუ>უუ:

წაელო > წეელო, წიწილაეები > წიწილეები და სხვა.

რეგრესული დისიმილაცია: ეა>ია, ოა>უა, ოე>უე:

ეამზნა > იამზნა, წავიდეა? > წავიდეა? და სხვა.

სუბსტიტუცია: ა>ე, ე>ა, ო>ა:

ჭარხალი >ჭერხალი, მრავალი >მრევალი, ეგებ >აგებ და სხვა.

ჩვეულებრივია ბგერათა გაჩენის შემთხვევები. ყურადღებას იქცევს **ნ და ვ** სონანტები: ჭადარი-ჭანდარი, წისქვილი-წვისქვილი და სხვა.

ბოლოკიდური პოზიციის ინტესიური ცვეთა მთიულურ -გუდამაყრულს ნაკლებად ახასიათებს, მაგრამ ცალკეული შემთხვევები მაინც შეინიშნება. იკარგება სახელობითი ბრუნვის ნიშანი თანხმოვანფუძიან სახელებთან. იკარგება მიცემითი ბრუნვის ნიშანი. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ელემენტი. მესამე სუბიექტური პირის ნიშანი სტატიკურ ინვერსიულ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა I შედეგობითში: გყავს-გყავ, „ბევრ კაც მოატყილა” და სხვა.

2.2. მთიულურ-გუდამაყრული დიალექტისთვის დამახასიათებელი მორფოლოგიური თავისებურებები

სახელთა ბრუნებისას სახელობითი ბრუნვის ნიშანი - ი გვაქვს ხმოვანფუძიან სახელებთან: **სარეკელი, გიორგა-ი და სხვა.**

მოთხრობით ბრუნვაში - მა ბრუნვის ნიშანი გაქვს ხმოვანფუძიან სახელებთან: დედა-მა, პატარა-მა.

უთანდებულო მიცემითი გამოიყენება ადგილის გარემოების დანიშნულებით: „ქალაქს მიდის,” „ქალაქს არი”.

ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებს აქვთ ბრუნვის ნიშნები ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელებთან: ქართულა-ის, ქოთილა-ით.

ვითარებითი ბრუნვა ბრუნვის ნიშნის გარეშე დანიშნულებით ფუნქციით გამოიყენება: პირველ „პირველად”, ლამაზ „ლამაზად”.

წოდებითი გამოიხატება ორგვარად: ო/ვ: ხმოვანფუძიან სახლებთან გვხვდება : -ვ, ხოლო თანხმოვან ფუძიანებთან-ო : მანან-ო, გელა-ვ.

თანდებული -ში გვხვდება -ჩი სახით: კარჩი.

-ზე წარმოდგენილია -ზედა ფონეტიკური ნაირსახეობით: კარზედა.

-თვის გვხვდება შემდეგი ნაირსახეობით:-თვინ//თვინ: სახლითვინ

-მდე გვხვდება შემდეგი სახით: -მდი//მდის: სახლამდი

-კენ წარმოდგენილია როგორც -კე: საქართველოსკე, კახეთისაკე.

სახელთა მრავლობითი რიცხვი იწარმოება - ებ და -ნ//-თ (ა) სუფიქსებით: ამეებმა, ქავთარანი,

-ნ//-თ(ა) იხმარება შტო-გვარის სახელების საწარმოებლად: ელიზბარიანი, ბეჟანიანი.

ზმნებიდან დაცულია უთემის ნიშნო ზმნები: თეს-ს, „თესავს“, ბერტყ-ს „ბერტყავს“. გვაქვს -ობ, -ავ და -ამ თემის ნიშნების გამოყენების თავისებური შემთხვევები: ლოც-ვ-ენ „ლოცავენ“, ძველი ქართულისებურად ავ/ამ თემისნიშნა წარმოებაში კუმშვადია. ფრინა-ობ-ს „ფრინავს“ (აქ გვაქვს ორმაგი წარმოება თემისნიშნიანისა). ა-სხ-მ-ენ „ასხამენ“.

-ევ -იან ზმნათა ნამყო ძირითადში დაცულია -ივ: წაქცივა „წაქცია“.
ხოლმეობითი იწარმოება - კე სუფიქსით:

ნაწილაკ-მორფემოდებიდან დასტურდება -ა კითხვითი ნაწილაკ-მორფემოიდი: „არ დარდობს-ა დედაშენი?“

-მცა მორფემოიდი: „შენამც შეგიყორდება „შენ შეგიყვარდეს“.

„ყველა“ ნაცვალსახელთან დასტურდება - ყა მორფემოიდი: „უნდა დაგაჩვენო ველაყაი“ (ჯორბენაძე, 1989, 275-288)

ასე ვრცლად მთიულურ-გუდამაყრულის თავისებურებებზე იმიტომ შევაჩერეთ ყურადღება, რომ დავინახოთ: მხატვრულ ნაწარმოებებში რა სახის დიალექტიზმებს გამოიყენებს გ. ჩოხელი. საერთოდ ცნობილი ფაქტია, რომ კლასიკოს მწერალთა შემოქმედებაში იმ დიალექტის თავისებურებანი, რაც საფუძველია მწერლისთვის, არასოდეს არ აისახება სრულად; ანუ: ყველა ძირითადი თავისებურება კოლორიტის შესაქმნელად გამოიყენება. შევეცდებით ამის დასაბუთებას.

III თავი.

მთიულურ-გუდამაყრული დიალექტის რა თავისებურებები აისახა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში

3.1. რა მიზნით იყენებს გოდერძი ჩოხელი დიალექტურ ფორმებს

სანამ უშუალოდ გ. ჩოხელის პროზაზე გადავალთ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ დიალექტური ნორმის თაობაზე.

სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, დიალექტისთვის არ არსებობს დადგენილი გრამატიკული ნორმები. ნებისმიერი თანამედროვე ენა არის რთული ერთიანობა, მოიცავს სახესხვაობათა მთელ კომპლექსს - სალიტერატურო ენას სოციალური და სტილური, დიალექტურ მეტყველებას კი - ტერიტორიული ვარიანტებით.

სალიტერატურო ენის ნორმა აღიარებულია, როგორც ნამდვილი „ძირითადი, მისაღები, დასაშვები“, ანუ ენაში არსებულ ვარიანტთაგან ნორმირებული არის ის, რომელიც მოიპოვებს საყოველთაო აღიარებას, რომელიც არის ბუნებრივი, ნამდვილი ენობრივი ფორმა, რომელიც არსებულ ვარიანტთაგან თანაბრად მისაღები ამ ენაზე მოსაუბრეთათვის ან არსებულ ვარიანტთაგან უფრო მეტად დასაშვები (გოგოლაშვილი, 2019, 41).

სალიტერატურო ნორმის გარდა საუბრობენ აგრეთვე დიალექტური ნორმის შესახებ. „ნორმა“ დიალექტის შემთხვევაში პირობითად ნახმარი ტერმინია, რომელიც გულისხმობს ამა თუ იმ დიალექტისთვის ნიშანდობლივი წესი, ჩვევა(უზუსტი). ამ თვალსაზრისით დიალექტური ნორმა განსხვავდება სალიტერატურო ენის ნორმისაგან.

არსებითი განსხვავება ამ ორ „ნორმას“, შორის ისაა, რომ სალიტერატურო ენის ნორმას ადგენს ნორმადარი, არსებულ ვარიანტთაგან უფრო მეტად მისაღებს არჩევს და მას ნორმის სტატუსს ანიჭებს ნორმადარი. მაგალითად: ენაში არსებობს პარალლური ვარიანტები: დაუხატია//დაუხატვია//დაუხატავს, დრეკს//დრეკავს//დრიკავს... ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე ნორმის სტატუსი მიენიჭა ერთ შემთხვევაში

დაუხატავს ფორმას და მეორე შემთხვევაში -დრეკს ფორმას. ამ გადაწყვეტილების საფუძველად ისტორიული პრინციპი იქნა გათვალისწინებული.

სულ სხვა ვითარებაა, როცა ვსაუბრობთ დიალექტურ ნორმაზე. დიალექტურ ნორმად მიიჩნევა დიალექტისთვის ნიშანდობლივი, დიალექტისთვის დამახასიათებელი, დიალექტის თავისებურებების განმსაზღვრელი მონაცემი. მას არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

დიალექტოლოგიის ამოცანა არის, შეისწავლოს და დააზუსტოს კონკრეტული დიალექტის თავისებურება და ამის მიხედვით იმსჯელოს დიალექტურ ნორმაზე. დიალექტური ტექსტის ანალიზის დროს უნდა განისაზღვროს, რა არის სწორედ „ნორმა“ და რა - „ნორმიდან“ გადახვევა. დიალექტური ნორმის დარღვევის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს სასაუბრო გარემო (გოგოლაშვილი 2019, 41).

ძალიან საინტერესოა ისეთი დიალექტური მასალა, როცა სათანადოდ მომზადებული ინფორმატორი თავად თხზავს მშობლიური დიალექტის ტექსტებს. ამ ფაქტს იმიტომაც მივაქცევთ ყურადღებას, რომ მწერალი, რომელიც დიალექტს მიმართავს, სწორედ ასეთ ვითარებას ქმნის: იცის დიალექტური ნორმები და საჭირო შემთხვევაში თხზავს დიალექტურ ვარიანტს (გოგოლაშვილი, 2019, 41).

დიალექტური „ნორმის“ დადგენა ხდება ამა თუ იმ დიალექტისთვის ნიშანდობლივი ფონემური, მორფოლოგიური და სინტაქსური კანონზომიერების საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, საერთო ენობრივი სისტემის მოთხოვნილებებითაა შეპირობებული. ტექტის ანალიზი უნდა იყოს მიმართული დიალექტის შინაგანი კანონზომიერების გამოვლენისაკენ. გაირკვეს: რა არის თავისებურება ამა თუ იმ დიალექტისა, რით განსხვავდება იგი სალიტერატურო ენისაგან და ასევე, რა არის მიზეზი ამგვარი ფორმების წარმოქმნისა. როცა ვსაუბრობთ მთიულურ-გუდამაყრულზე, სწორედ ამ დიალექტის „ნორმას“ ვგულისხმობთ. (გოგოლაშვილი, 2019, 41).

ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ხშირია მწერლის ენის ანალიზის დროს ფონეტიკურ თუ გრამატიკულ მოვლენებზე ყურადღების გამახვილება.

„აკაკის ენაში გვხვდება იმერული კილოსთვის დამახასიათებელი ასიმილაციის, დისიმილაციის, მეტათეზისი, ბგერათა განვითარების, დაკარგვის, შენაცვლებისა და

შერწყმის შემთხვევები.”(ვემყარებით გ. გოგოლაშვილის. (იხ.: გოგოლაშვილი, 2013), ციტატებიც ამ ნაშრომიდან მოგვყავს).

„ს. მაგალობლიშვილის მოთხრობების პერსონაჟთა მეტყველებაში მეტ-ნაკლებად დადასტურებულია ყველა ის ფონეტკური მოვლენა, რომლებიც გავრცელებულია ქართლურში.”

„დ. ჭონქაძის „ სურამის ციხის”, ენაში მრავლად ვხვდებით აღმოსავლეთის დიალექტებისთვის, კერძოდ ქართლურისა და კახურისათვის დამახასიათებელ ენობრივ მოვლენებს” (გოგოლაშვილი, 2013, 225-228).

არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა სახის დიალექტიზმია გამოყენებული. ანალიზისთვის ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს - ყველა ეს ერთი ღირებულებისაა- დიალექტიზმებია. ამ დროს მნიშვნელოვანია, თუ რა ფუნქციური დატვირთვა აქვს ამ დიალექტიზმებს კონკრეტულ მწერალთან კონკრეტულ ნაწარმოებში.

დიალექტიზმების მიზნობრივი თვალსაზრისით გამოყენების კარგ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ილია ჭავჭავაძის პროზა. აქ ვითარება არაერთგვაროვანია. ამ მრავალფეროვნებას განსაზღვრავს ნაწარმოების ხასიათი, დანიშნულება. ილიასთან მიზნობრივ გამოყენებაზე უნდა ვისაუბროთ ისეთ შემთხვევებში, როგორცაა, ვთქვათ, ერთი მხრივ, მოთხრობებში: „ოთარაანთ ქვრივი”, „გლახის ნაამბობი” და „სარჩობელაზედ”, მეორე მხრივ „კაცია-ადამიანში” და, მესამე მხრივ, „მგზავრის წერილებში”.

პირველ შემთხვევაში („ოთარაანთ ქვრივი”, „გლახის ნაამბობი” და „სარჩობელაზედ”) არ ხდება დიალექტიზმების მიზნობრივი გამოყენება; ვამბობთ მიზნობრივი-თქო, რადგანაც -**დამ** თანდებულის გამოყენება და მსგავსი არალიტერატურული ფორმები „ნორმაა” ილიასთვის, ლიტერატურული ფორმაა მისთვის. მიზნობრივ შემთხვევაზე უნდა ვისაუბროთ ისეთ შემთხვევებში, როგორცაა, ვთქვათ, დიალექტიზმები „კაცია-ადამიანში”: **ვშობამ, შენ ნუ მამიკვდები, ვშობამ!**.. და სხვა. მწერლის მიერ დიალექტიზმების გამოყენებაა ლუარსაბის „განათლებულობაზე”, „შეგნებულობაზე” აქცენტის გაკეთებაა. ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ ასეთი

დიალექტიზმები გვხვდება მხოლოდ პერსონაჟთა მეტყველებაში. (გოგოლაშვილი, 2013, 225-228)

ილიასთან მესამე შემთხვევაში (მოთხრობაში „მგზავრის წერილები“) ლელთ ღუნია დიალექტზე მეტყველებს. ესეც მიზნობრივი გამოყენებაა დიალექტიზმების. მწერალი ამით მიგვანიშნებს, რომ ლელთ ღუნია ის კაცია, რომელიც ხევს არ გამოვლია, წიგნი არ უნახავს, განათლება არ მიუღია, მაგრამ თავისი შეგნების დონით, მსჯელობის ლოგიკით, ცხოვრებისეული სიბრძნით ათი თავით მაღლა დგას, ვიდრე „განათლებული“ რუსის ოფიცერი. ეს ეროვნული უბედურებაა, რომ ეს მოხვევე იმ რუსისგან იჩაგრება..

ამ ეფექტს ავტორი დიალექტიზმების საშუალებით გამოხატავს (გოგოლაშვილი, 2013, 225-228).

დიალექტური ფორმების შემოტანა ფრაზას მეტ რიტმულობას, დინამიკას სიცოცხლისუნარიანობას (ანუ აახლოებს ცოცხალ მეტყველებასთან) ანიჭებს. დიალექტიზმები როგორც მხატვრული ხერხი, საშუალებაა მკითხველთან დამატებითი ინფორმაციის მიტანისა.

ძალიან საინტერესო სურათს ქმნის დიალექტიზმების გამოყენება დავით კლდიაშვილთან. აქ ბევრი საკითხია, მაგრამ ერთი თუნდაც ისაა, რომ დიალექტიზმები პერსონაჟის მეტყველებაში ფაქტობრივად ყოველთვის იჩენს თავს, როცა მოქმედი პირი მდგომარეობიდან არის გამოსული- დამწუხრებული, გაჯავრებული ან სასოწარკვეთილი. ამით ავტორი მეტ ექსპრესიულობას, სიცხოველეს მატებს ფრაზას და პერსონაჟის მდგომარეობას უფრო ცხადად წარმოგვიდგენს (გოგოლაშვილი, 2013, 232-234).

გოდერძი ჩოხელი გამორჩეული მხატვრული ენის მქონე მწერალია, მისი შემოქმედება ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით უდავოდ განსაკუთრებულია. მისი ენა ბუნებრივია, ის ძალდატანების გარეშე, ჩვეულებრივი მოსაუბრესავით ჰყვება ამბავს, მისი ლექსიკა ნასაზრდოებია გუდამაყრის ხეობაში მარგალიტებივით შემორჩენილი ძირძველი ქართული სიტყვებით.

ეს ზოგადი მსჯელობა იმისთვის დაგვჭირდა, რომ უფრო ნათლად დაგვეჩვენა გოდერძი ჩოხელის ენობრივი პოზიცია; შეგვეფასებინა დიალექტიზმების გამოყენების მისეული მეთოდი.

გ. ჩოხელის წერის მანერასა და სტილს მნიშვნელოვნად განაპირობებს გუდამაყრის ხეობასა და მწერლის სოფელში - ჩოხში - გავრცელებული მეტყველება.

გოდერძი ჩოხელი შესანიშნავად ახერხებს დიალექტური ფორმების გამოყენებას, ისეთ დინამიკაში მოყვანას, ისეთ შეთავსებას სალიტერატურო ენასთან, რომ მისი ენა პოეტურობის განცდას კიდევ უფრო მძაფრად იძენს. არ იწვევს მკითხველის გაღიზიანებას, პირიქით, მისთვის საჭირო ხერხია და ადგილობრივი კოლორიტის გაცოცხლებას ემსახურება, უზადო გემოვნებით შერჩეული სარკაზმის ეფექტს ანიჭებს სიტყვას და მკითხველამდე მიაქვს დახვეწილი ნაწარმოები, როგორც შინაარსით, ისე-გამოხატვის ფორმებით, რაც სასიამოვნოს ხდის კითხვის პროცესს.

აღსანიშნავია გოდერძი ჩოხელის ერთგვარი „თავისუფალი“ დამოკიდებულება დიალექტიზმისადმი: იგი არც საგანგებოდ ცდილობს მეტყველების დიალექტურობა შეინარჩუნოს (ე. ი. ზედმეტად ხელოვნურად არ მოგვეჩვენოს) და არც იმის მცდელობას ამჟღავნებს, რომ თავი აარიდოს მათ გამოყენებას.

გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებები დიალექტიზმებით გაჯერებული ან გადატვირთული არ არის. გ. ჩოხელს აქვს ნაწარმოებიც, რომლებიც საერთოდ არ შეიცავენ დიალექტიზმებს, ზოგიერთ მოთხრობაში („ადამიანთა სევდა“, „წითელი მგელი“, „მიჯაჭვული რაინდები“, „სულეთის კიდობანი“, „თევზის წერილები“, „დედის ჩიქილა“) კი - პირიქით, გვხვდება მეტად საინტერესო დიალექტიზმები და თანაც საკმაო რაოდენობით. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გოდერძი ჩოხელის ენობრივი სტილის თავისებურება და ლაზათი გუდამაყრული დიალექტისა და სიღრმისეულად გათავისებულებული სალიტერატურო ენის სინთეზშია, რაც მთელი მისი შემოქმედების ვრცელ არეალში ვლინდება (ხორბალაძე, 2015, 118-128)

3.1. ფონეტიკის საკითხები:

შევეცდებით ვაჩვენოთ, მთიულურ-გუდამაყრულის ზემოწარმოდგენილ თავისებურებათაგან რა აისახა გ. ჩოხელის პროზაში და რა - არა.

როგორც ვიცით, მთიულურ-გუდამაყრულს ახასიათებს ჯ ბგერა, რომელიც გოდერძი ჩოხელთან არ გვხვდება.

ასევე, არ დასტურდება **ღ** (იოტას) გამოყენების შემთხვევები, თუმცა გვხვდება სრულხმოვანი -**ი** იქ, სადაც დიალექტური ნორმის მიხედვით **ღ** უნდა იყოს -

ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის შემადგენელ ელემენტად ფუძეუკვეცელ სახელებთან :

მარტო **ზაგილას** შეუძლია მისი დაჭერა. (ჩოხელი,2011,70)

კარგად იყავ, - მიუგო ღენჯამ **ზათირას** (ჩოხელი, 2011,71).

აქ -ი ფუძისეულადაა გააზრებული და მიცემითი ბრუნვის ფუნქციტაა წარმოდგენილი.

მთიულურ-გუდამაყრულისთვის დამახასიათებელია რეგრესული ასიმილაცია, რომლის შემთხვევა ვერ დავადასტურეთ ჩვენ მიერ განხილულ მასალაში.

რეგრესული დისიმილაციაც ერთ-ერთი თავისებური მოვლენა მთიულურ-გუდამაყრულისთვის, რომლის გამოყენების შემთხვევა ვერ დავადასტურეთ ჩვენ განხილულ ფონეტიკური მოვლენებიდან მთიულურ-გუდამაყრულს სუბსტიტუციაც ახასიათებს. აღსანიშნავია თანხმომავანთა სუბსტიტუცია: **ვ:მ**, რომლის მაგალითები გ. ჩოხელთან ჩვენ მიერ განხილულ მასალაში ვერ დავადასტურეთ.

მთიულურ-გუდამაყრულისთვის დამახასიათებელია ახასიათებს ბგერის გაჩენის შემთხვევები, რომელიც ჩვენ მიერ განხილულ მასალაში ესეც ვერ დავადასტურეთ გოდერძი ჩოხელთან.

მთიულურ-გუდამაყრულში გვხვდება სონანტის მახლობლად სპირანტის აფრიკატიზაცია, და ასევე, გვაქვს საპირისპირო მოვლენის შემთხვევები დეზაფრიკატიზაცია, (ჯორბენაძე, 1989, 275-288) რომლებიც თავს არ იჩენს გოდერძი ჩოხელთან.

ბოლოკიდური პოზიციის ცვეთა მთიულურ-გუდამაყრულსაც ახასიათებს, იკარგება სახელობითი ბრუნვის ნიშანი, თანხმომავანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან, ასეთი მაგალითები მრავლადაა გ. ჩოხელის ნაწარმოებებში:

დაიკარგა -დ ბგერა:

ერთ სკივრში **კარგა** შეკრული ქალაქების დასტა ვიპოვე(გ. ჩოხელი,2011,8).

სათიბში ცელიან მოხუცს რომ ჰკიდა თვალი, უფრო **მაგრა** დაეწვა გული (ჩოხელი, 2011, 592).

დაიკარგა სახელობითი ბრუნვის ნიშანი - ი ბგერა:

-რას ამბობ **„დაიცვ“** ხო არ ვართ?!-იწყინა მგელიკამ (ჩოხელი, 2011, 134).

გააკრეს **ზაგილაი** ხეზე და აწვალეზენ- გვითხარ იქ რა იყო, ან რატომ არ ჰკვდებო (ჩოხელი, 2011, 69).

კარ ვერ გატეხეს ძალადა (ჩოხელი, 2011, 154).

ისინი გუშინდელ **ნახალიკარ** ადგილებთან იდგნენ და ერთიმეორესთვის ხმის გაცემა რცხვენოდათ (ჩოხელი, 2011, 584).

კარ გაიხსნების თავადა (ჩოხელი. 2011, 154).

დაიკარგა წყვეტილის ნიშანი - ი :

სება ყვებოდა: შენ დროთაი **რო იყავ**, მაშინაც ესე დადიოდნენ ამ ადგილას ჭიანჭველები (ჩოხელი, 2011, 91).

გუშინ ველარაფერი **გითხარ**, ჩემო კვირავ, რომ დავინახე მაშინვე ვიცან (ჩოხელი, 2011, 593).

თორმეტი წლის განმავლობაში ერთხელ **ამოყავ** წყლიდან თავიდა მაშინაც სამშობლოს ღალატი დამწამეს (ჩოხელი,2011,11).

ექვსი დღე კი იმუშავე, მეშვიდე **დაწექ** მხარზედა (ჩოხელი, 2011, 585).

- ვა **თეატრალ**, ეს შენ იყავ?! (ჩოხელი, 2007, 11).

ზოგჯერ იკარგვის მიცემითი **ბრუნვის -ს ნიშანი თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან:**

დღეს რომ ამ წყლის **ძირ ვიყავ**, ხვალ კიდევ იქ ვიყავი, ეე! რა ქალაქები და ქვეყნებია წყლის ქვეშ, რო იცოდეთ , ერთი არ გასჩერდებოდით აქა, დღესვე წყალში ჩასცვივდებოდით (ჩოხელი, 2011,11).

მიტკლის ფერი დაედო კაცსა, ძლივს ამოღერდა: რა იყო ხალხო , რა ამბავია **ჩემ** თავსა?! (ჩოხელი, 2011, 144).

-შავეთში, აბა სად წავალ , **ჩემ** წილ სამარეს ამოვავსებ (ჩოხელი, 2011, 43).

იმ დღეს ერთ **ჩემ** მოთხრობას მიასვენებდნენ (ჩოხელი,2011, 7).

-**გორისთავ** გაუვლის მთვარე (ჩოხელი, 2007,118).

2011, 52).

დღეს რომ ამ წყლის ძირ ვიყავ, ხვალ კიდევ იქ ვიყავი, ეე! რა ქალაქები და ქვეყნებია წყლის ქვეშ, რო იცოდეთ, ერთი არ გასჩერდებოდით აქა, დღესვე წყალში ჩასცვივდებოდით (ჩოხელი, 2011,11).

დაიკარგა ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -ს თანხმონითი ელემენტი:

-ვისი ცოლი ძმა ხარ? (ჩოხელი, 2007, 77).

-რაისთვი აჰკაფავ?! -იწყინა ბათარეკამ (ჩოხელი, 2011, 142).

-რი ისტორია, რა ისტორია?!ჯარიმა დროზე გადაიხადე(ჩოხელი, 2011, 97). ამ შემთხვევაში შეკვეცილია და ბრუნვის ნიშანი იკარგება.

დღეს რომ ამ წყლის ძირ ვიყავ, ხვალ კიდევ იქ ვიყავი, ეე! რა ქალაქები და ქვეყნებია წყლის ქვეშ, რო იცოდეთ, ერთი არ გასჩერდებოდით აქა, დღესვე წყალში ჩასცვივდებოდით (ჩოხელი, 2011,11).

დაიკარგა -ს ფუძისეული ბგერა:

-ნუ გადაგვირიე ე ქათმები, შე ცეტო, შენა! (ჩოხელი, 2011, 13).

დაიკარგა -ნ ბგერა:

-ნუ გადაგვირიე ე ქათმები, შე ცეტო, შენა! (ჩოხელი, 2011, 13).

-სად მიგიდის ქათმები, შე გიჟო, შენა! (ჩოხელი, 2011,13).

-ე მა დაგება შე ტიალო? (ჩოხელი, 2007, 127).

დაიკარგა - ლ ბგერა:

-ისენიც, იქ არავინ ჩავარდეთ, თორო, სუ ერთია, იმათ ლაპარაკს ვერ გაიგებთ და შეიძლება ვეღარ ამოხვიდეთ (ჩოხელი, 2011, 11).

-გამიშვით თორო, სუ ქვებით დაგიხვრეტთ იმ თუნუქის სახურავს!-იყვირა გალილეიმ (ჩოხელი, 2011, 17).

მამაჩემი სუ ერთთავად იმას მაფრთხილებდა - ბაღლო, ფეხს რო ადგამ, ჯერ წინ დაიხედე, ჭიანჭველას ფეხი არ დაადგა, ისიც ხვთის გაჩენილია (ჩოხელი. 2011, 91).

დაიკარგა -მ ბგერა:

ქალი თურმე გარეთ იზიდება ბაღთან, ი კაცშავას თავის საქმე გაუკეთებია და წასულა (ჩოხელი, 2011, 52).

-რა დაგრჩა ი სოფელში, რა წარა-მარა იქეთ გარბიხარ დატუქსა მამამ (ჩოხელი, 2011, 111).

-მერე ხუთი თივით რა შევინახო, ერთ ძროხასაც არ გამიკვებავს, ე ბაღლებს რა ვუყო (ჩოხელი, 2011, 575).

ცეცხლს ანთებდა ი ბაღლი და რა ვიცი სახლს როგორ გაეკიდა (ჩოხელი, 2011, 52).

თხუთმეტი თივა რო დაგრჩეს,იქნებ სამი ძროხა გავკვებო როგორმე (ჩოხელი, 2011, 596).

იკარგება - შ ბგერა:

-მა რა გაქვთ მაგ ყუთში? (ჩოხელი, 2011, 54).

- აბა მა როგორ შედიხარ? (ჩოხელი, 2007,10).

იკარგება - გ ბგერა :

-ნუ გადაგვირიე ე ქათმები, შე ცეტო, შენა! (ჩოხელი, 2011, 13).

-ე ცული რადლა გინდა?-გაუკვირდა გორიას (ჩოხელი. 2011, 71).

დაიკარგა წოდებითი ბრუნვის - ო ნიშანი:

- ვა თეატრალ, ეს შენ იყავ?! (ჩოხელი, 2007, 11).

აღნიშნული მოვლენის მაგალითებს უხვად ვხვდებით გოდერძი ჩოხელის მოთხრობებში.

მთიულურ - გუდამაყრულში დასტურდება ლაბიალურ კომპლექსთა ცვლილებანი, რომელიც ასევე აისახა გოდერძი ჩოხელთან და ამ მოვლენის მაგალითებიც საკმაოდ ბევრია მის მოთხრობებში:

ა) $\text{[p]} > \text{[v]}$ // $\text{[v]} > \text{[p]}$ დასტურდება ყველა პოზიციაში .

რეაქტიული თვითმფრინავი ისეთი სწრაფი იყო თოლს ვერ მოკრავდი (ჩოხელი, 2011, 12).

-მეხუთე კოვზების ოთახია, აიღებ კოვზს და **გახოლ** მეექვსეში, იქ თევზები აწყვია და ეგე გაყვები (ჩოხელი, 2011, 13).

მეათე ოთახში ბორშიანი ქვაბი დაგზვდება, დაისხამ ბორშისა და **გახოლ** მეთერთმეტეში(ჩოხელი, 2011, 13).

-ხმა არ მინდა გავიდეს **სხოგან** (ჩოხელი, 2011, 20).

რომელი ხართ ჩემზე კარგი მეომარი, ვერ დაინახა თქვენმა დასათხრელმა **თოლებმა** წელან (ჩოხელი, 2011, 25).

-კაცი რო დაიბადება, თავისა და **მთორის** სავალსა, მაშინ დაუწერს მწერალი თავის თავგადასავალსა (ჩოხელი, 2011, 29).

ის ნიგზურაი ცეცხლში **დაწო** (ჩოხელი, 2011, 30).

-თუ აორთქლდება, **თორო სხოგან** სად უნდა წავიდეს, აღარ ვიცი (ჩოხელი, 2011, 31).

ბოროტებს **სხო** ადგილი ექნებათ (ჩოხელი, 2011, 35).

კაცმა **სხო** არ უნდა დააღონოს თავის სიცოცხლით (ჩოხელი, 2011, 39).

აგე **დამწორ** - ჩანახშირებულ კედლებს ხომ ხედავ? (ჩოხელი, 2011, 52).

მთორიან ღამეში წაიყვანა ქალმა ბალღი საყორნის ტყეში (ჩოხელი, 2011, 52).

-სადა და, შენ ჯვარი გეწეროს, სადაც ეხლა აის თავი წავიდა, იქ წავალთ **აბა სხოგან** სადა?(ჩოხელი, 2011, 56).

-ეე, მიწაში, აბა, რავი რა არის, მიწაში გველებია, ჭიები და ბაყაყები, აბა, **სხო** რა (ჩოხელი, 2011, 56).

-ბარემ **მიყორს**, თუ ღმერთმა მაცოცხლა (ჩოხელი, 2011, 72).

სამუკამ ისე **თქო** , რომ მფრინავი თევზები დადიან ცაში, ჰო, შენ **იგოღია** აბა ეგ?(ჩოხელი, 201, 594).

- რას იტყოდა. ერთ რუსულ სიტყვას სადმე გაიგონებდა და იმას იტყოდა, **სხო** კი რა უნდა **ეთქო!** (ჩოხელი, 2011, 594).

-რო გითხრან **მთორეზე** წამოდიო, წახვიდოდი?(ჩოხელი, 2011, 72).

-გამიხარდავ სად **მიხოლ** ჰა!(ჩოხელი, 2011, 573)

- შემომაფეთა **თოლები** (ჩოხელი, 2007, 65).

-შენ ხომ **წახოლ** იმ ქვეყანაში?(ჩოხელი, 2011, 72)

ასე გასკდეს იმისი **თოლი** და გული, ვინც შენ თოლი გცესო (ჩოხელი, 2011, 586).

- რას იტყვოდა. ერთ რუსულ სიტყვას სადმე გაიგონებდა და იმას იტყვოდა, **სხო** კი რა უნდა ეთქო! (ჩოხელი, 2011, 594).

- დაიმახსოვრე ჩემი **ნათქომი** (ჩოხელი, 2011, 112).

- აბათ არ იცოდა ,უი ჩემ **თოლებსა**, წუხელ ისეტს რამეს ვლაპარაკობდით მე და სამუკაი, ვინ იცის სუ გაიგონა იმ ჩინელმა (ჩოხელი, 2011, 594).

ბ)მე//ვე >ო დასტურდება ყველა პოზიციაში .

-აბა რა ვიცი, არის რამ კიდა თორე, რამ გააჩინა ეს **ქოყნიერობა** (ჩოხელი, 2011, 48).

რისთვის ააწყვე, ღმერთო, მაგისი **ძოლმანი**, ან შენი წმინდა სული რად ჩაუბერე ეგეთ უმაღურს (ჩოხელი, 2011, 582).

ძოლები მიწაში იკარგება, სული საიქიოს მიდის (ჩოხელი, 2011, 57).

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ მთიულურ-გუდამაყრულს ახასიათებს გრძელი ხმოვანი. იგი მოუდის: ა) ბოლოდან მესამე მარცვალს, თუ პირველ მარცვალს ქმნის მეშველი ზმნისეული - ა

ბ)გრძელი ხმოვანი შეიძლება იყოს სიტყვების ბოლოდან პირველი ხმოვანი, თუკი სიტყვას ენკლიტიკურად მიერთვის ხმოვნის შემცველი მორფემა. აღნიშნული გრძელი ხმოვანი ვერ დავადასტურეთ ვენს განხილულ მასალაში (ჯორბენაძე, 1989, 275-288)

ცხადია, გრძელი ხმოვნების ასახვა გ. ჩოხელის პროზაში არ ხდება, - ეს მხატვრული ტექსტია და არა სამეცნიერო.

3.3. მორფოლოგიური საკითხები:

მთიულურ-გუდამაყრულში თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს სახელობით ბრუნვაში ჩვეულებრივ დაერთვის ბრუნვის ნიშანი, თუმცა გვაქვს მისი მოკვეცის შემთხვევებიც. ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთაგან - ი დაერთვის ორ და მეტმარცვლიან სიტყვებს და ისიც , როგორც წესი, -ა ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს (ჯორბენაძე, 1989, 275-288)

ეს მოვლენა აისახა გოდერძი ჩოხელთან:

საკუთარ სახელებთან:

სახელობითი ბრუნვის ნიშანი:

-მართლა იმახი?!- დაეჭვდა ბიბლაი(ჩოხელი, 2011, 11)

ბანზე წიოკით ამოვარდა გარახტინაი, უკან ტაშკენტაი მოსევდა წყევლით (ჩოხელი, 2011, 21).

-ჰოდა ზინაი როგორმე უნდა წავიყვანოთ (ჩოხელი, 2011, 25).

ელენაი და სალომე გავგზავნეთ ჩოხოლაურთას(ჩოხელი, 2011, 28).

ბათირაის ძმას საღირაი ჰქვია (ჩოხელი, 2011, 36).

მართაი ნინიასთან გადავიდა(ჩოხელი, 2011, 44).

არასოდეს არ ასულა მამუკაი იქ და ერთ დღესაც მოსწადდა მთაზე ასვლა და იქიდან გადმომხედა(ჩოხელი, 2011, 50).

გააკრეს ბაგილაი ხეზე და აწვალეზენ- გვითხარ იქ რა იყო, ან რატომ არ ჰკვდებო(ჩოხელი, 2011, 69).

ბოსლელმა დენჯამ ქორწილში ათნოხელი გორაი წაიყვანა მეჯვარედ(ჩოხელი, 2011, 70).

უკან მარტაი მოსდევდა კივილით(ჩოხელი, 2011, 594).

მე სტეფაი ვარ, ამ ადგილის დედა მითხრა მან(ჩოხელი, 2007, 64).

ამანდაი ეგრეც ვიცოდი (ჩოხელი, 2007, 90).

დუმაცხოში ხუთი ქისტის მამკლავი გაგილაი გარდაიცვალა(ჩოხელი, 2011, 34).

-ერთი შენც მოგცლია!- ისევ გაბრაზდა აპარეკაი(ჩოხელი, 2011, 96).

ისინი ბაგილაის კარზე შეიკრიბნენ(ჩოხელი, 2011, 69).

ბათირაის ძმას საღირაი ჰქვია (ჩოხელი, 2011, 36).

კარგა ხანს ირისხეზოდა მწარაი და ხალხიც უსმენდა(ჩოხელი, 2011, 582).

დადიოდა ბათარეკაი სოფლიდან-სოფელში(ჩოხელი, 2011, 118).

ამოვიდა ომარათ სანდრუაი, ამოვიდა შულლიანთ ზორაი, იმათ მოყვნენ (ჩოხელი, 2011, 76).

ქორა, გამიხარდაი, ბიბლაი, შეთე, ბასაი, მწარაი, კიჭყაი, ჯღუნაი, ტატაი (ჩოხელი, 2011, 78).

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ხმოვანფუძიანებთან -ის, ნაცვლად -ს სუფიქსისა:

-აი, ზემოთ **ნარიანის** მთაზე რო ტბა არის, იქ შეგიძლიათ ჩასცვივდეთ (ჩოხელი, 2011, 11).

რამდენიმე დღის მერე **ლენჯაის** ცოლმაც იმ გზით ჩაიარა(ჩოხელი, 2011, 70).

-ზემოთ არის ცხვარში - უთხრა **გორიას** ცოლმა(ჩოხელი, 2011, 71

საზოგადო სახელებთან ერთმარცლიანებთან:

-შენი **დედაი**, ჩემი **დედაი!**(ჩოხელი, 2011, 66).

მე და **ძალუაი** ვიყავით, როგორც კატაო ისე მოგვწვანაოდა(ჩოხელი, 2011, 42).

იმის **თმაი** ეგრე ლივლივებდა მდინარის ტალღებზე(ჩოხელი, 2011, 36).

შენი დაი, ჩემი დაი(ჩოხელი, 2011, 66).

შენი **ძმაი**, ჩემი **ძმაი!**(ჩოხელი, 2011,66).

-მამავ, **პაპაი** ომში მოკლეს?- ჰკითხა ბიჭმა(ჩოხელი, 2011, 91).

-მამავ, **პაპაი** ომში მოკლეს?- ჰკითხა ბიჭმა(ჩოხელი, 2011, 91).

-**ბებერაი** მობრძანდება!- ურტყამდა ჯოხს და **აბურჯხლებდა** ცეცხლწაკიებულ მორს(ჩოხელი, 2011, 164).

ფხოლაი მრგვალია, თხილის გულის ტოლი, მიწიდან ყანასთან ერთად ამოდის, **ფხოლის თავაი** ჰქვია მის ღეროს(ჩოხელი, 2011, 588).

ნაცვალსახელებთან:

გიყვარდა **ყველაი**, მაგრამ ეხლა უნდა გასწირო(ჩოხელი, 2011, 176) .

-მეც წავალ და **ყველაი** წავა(ჩოხელი, 2011, 72).

გ. ჩოხელთან მოთხრობითი, მიცემითი და მოქმედებითი ბრუნვები არ გხვდება მთიულურ-გუდამაყრულისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით.

თანდებული -ში გვხვდება -ჩი სახით (მაგალითი არ გვაქვს დადასტურებული გ. ჩოხელთან)

-ზე -ზედა **ფონეტიკური ნაირსახეობით:**

ადამიანის დარჩენა ვერვინ ვერ იღვა **მხარზედა**(ჩოხელი, 2011, 585).

ადგა ,ხარმა მოახსენა: ,, მე დამიდვია **თავზედა**”(ჩოხელი, 2011, 585).

წამოდგენენ ანგელოზები, აკოცეს ორსა **თვალზედა** (ჩოხელი, 2011, 585).

ჩამოქნეს წყვილი სანთელი, დააკრეს ორსავე **რქაზედა**“(ჩოხელი, 2011, 585).

ექვსი დღე კი იმუშავე, მეშვიდე დაწექ **მხარზედა**(ჩოხელი, 2011, 585).

-თვის გვხდება -თვინ//თვინ.

-მდე -მდი//მდის -კენ წარმოდგენილია როგორც -კე მთიულურ-გუდამაყრულში,

რომელიც დასტურდება ასეთივე სახით გოდერძი ჩოხელთან.

ზემოთიდან წამოეპარა ჯიხვებს მონადირე(ჩოხელი, 2011, 12).

ქვემოთიდან მწკრივად ამოდიოდა ზურგზე ქვებმოკიდებული ხალხი(ჩოხელი, 2011, 51).

ქალი **ყვირილაანთიდან** მოიყვანეს(ჩოხელი, 2011, 70).

აღნიშნულ მაგალითი სალიტერატუროა, მაგრამ ფუნქციით უდრის „ქალაქიდან”.

აღნიშნული შემთხვევა ძველი ქართულისებურია.

უთანდებულო მოქმედებითი გამოსვლითი ფუნქციით:

ქალაქით მოვიტანე ამბავი-თქვა ერთ-ერთმა ახალგაზრდამ(ჩოხელი, 2011, 122).

სახელთა მრავლობითი რიცხვი იწარმოება - ებ და -ნ// -თ (ა) სუფიქსებით., -ნ// -თ(ა) იხმარება შტო-გვარის, ოჯახის სახელების საწარმოებლად.

-ან - სუფიქსი , რომელიც დაერთვის საკუთარი სახელის ფუძეს და აღნიშნავს ოჯახს, გვარეულობას.

-ან -სუფიქსმა შეიძლება აღნიშნოს ვისიმე მოძღვრების მიმდევრობაც.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში ამ დანიშნულებით -ან სუფიქსის ნაცვლად ზოგჯერ გამოიყენება -ნ მაწარმოებელიანი მრავლობითის ფორმა(ჯორბენაზე, კობაიძე, ბერძემე, 1988.37-38)

ამგვარ ფორმებში -ან კუთვნილებაზე მიანიშნებს, -თ მრავლობითობის ფუნქციისაა, თუმცა აღნიშნავს იმათ მრავლობითობას, ვისგან წარმომავლობაზეცაა საუბარი.

-**ტატიანთ** ქათამო, მარცხენა მხრიდან შეუტევ მოწინაღმდეგეს და რაც შეიძლება ცოცხლად! ღალატია, ღალატია!!! აეგრე (ჩოხელი, 2011, 12).

შიჯანთ ქალი და ქალთამზე იტყობინებიან, რომ არაგვი გაყინულია(ჩოხელი, 2011, 35).

სვიმონიანთ მართაი დაინახა და ჰკითხა, ვისი თივებიაო(ჩოხელი, 2011, 595).

კოტორიანნი შეშინებულები მისდევდნენ უკან(ჩოხელი, 2011, 51).

მზე ჩასასვლელად გადაიხარა და ცუცქუნაურთიდან კოტორიანთ მიმართულებით დავიძარიო(ჩოხელი, 2011, 45).

ქვემოდან სამხარათ ქეთომ ამოიარა და მეზობელთან ამას გაატანა კვირიამ წალდი (ჩოხელი, 2011, 593).

ზემთო ბინდებოდა, მამისახლო სოფელი ჯერ კიდევ არ ჩანდა (ჩოხელი, 2011, 223).

გოდერძი ჩოხელთან შემდეგი სახით გვხვდება კითხვითი ნაცვალსახელები:

-უდღეო დღეს ხატში რაისთვის ასულხარ სებავ?!-გაიკვირვა აპარეკამ(ჩოხელი, 2011, 100). ამ შემთხვევაში კი შეუკვეცავია კითხვითი ნაცვალსახელი.

-აბა მაშ რაიმ რაი ვქნათ, ვისხდეთა ესე და ჭორიკანა დიაცებივით ვილაყბოთ?!-ფეხზე წამოენთო ხევსური(ჩოხელი, 2011, 134).

-მე გირჩევთ რაიც უნდა ქნათ-თქვა ჯარჯიმ(ჩოხელი, 2011, 134).

-რაი?რაი?-წამოიშალნენ ხევსურები(ჩოხელი, 2011, 134).

რაისთვის მახრჩობ სიყვარულო, რაისთვის? (ჩოხელი, 2007, 75).

-რაი ამბავია აპარეკო, ხატის ლიშანი ხო არცრათ რა გეცნო?- ჰკითხა ბალათერამ(ჩოხელი, 2011, 140).

ჩვენებითი ნაცვალსახელები გვხვდება შემდეგი ნაირსახეობით, რომელიც თავისებური ვარიანტებია :

ემ ბალღმა იმდენ ხანს იცოცხლოს, სანამ ხეზე ახდომა შეეძლებაო (ჩოხელი, 2011, 30).

-ვიდრე აეს მიგზურაი არ ჩაიწვებაო- კერაზე ნიგზურაი ენთო, იმაზე თქო (ჩოხელი, 2011, 30).

„**აესრემც** შაუკრვის პირი მგელს, რომელმაც ჩემი ძროხიას შაჰმა მაინდომოს (ჩოხელი, 2011, 33).

-**აესრემც** დაგენაყება მგელო კბილები!(ჩოხელი, 2011, 33).

-აემ ჩემს სხეულს ხომ ხედავთ, ამას შავიტან სახლში(ჩოხელი, 2011, 69).

დედამიწა **ამეს** უჭერია(ჩოხელი, 2011, 72).

გამიქარვე დარდები, **აგრემც** დაილოცები(ჩოხელი, 2011, 76).

-**აეგეთია** ეს ცხოვრება!- ამბობს შულლიანთ სება(ჩოხელი, 2011, 89).

-**აემ** ჭიანჭველას ხომ ხედავ?- ჭიანჭველაზე მიუთითა სებამ ბიჰს(ჩოხელი, 2011, 91).

-**იგეთი** არც გუდამაყრის მუზეუმი გვჭირდება(ჩოხელი, 2011, 136).

დღეების გარჩევას ვილა დაგიდევს და გადის **ეგე** ზამთარი(ჩოხელი, 2011, 139).

-**ეგრე** მწადის და **იმადა**(ჩოხელი, 2011, 142).

-**აიმ** კაცის სურას ხედავ?- კუდით ანიშნა სურათზე(ჩოხელი. 2011, 157).

აემ ბაღლების ხათრს რა ვუყო (ჩოხელი, 2011, 111).

ეე ღენჯო მოდი აქ! (ჩოხელი, 2011, 123).

კავშირები შემდეგი სახით გვხვდება:

თორემ > თორე > თორო:

-თუ აორთქლდება, **თორო სხოგან** სად უნდა წავიდეს, აღარ ვიცი (ჩოხელი, 2011, 31).

ეს მზე-**თორე** და აი, ეს ხალხი, იქნებ ჩვენ ვართ ღმერთები (ჩოხელი, 2011, 48).

-**ანდე** თქვენა დ **ანდე** თქვენი გემი-მეთქი(ჩოხელი , 2011, 12).

წადი, დედაო, გაჰყევი, **ნურცარა** შეგაშინებს, **ნუმც** დამიღონდები, **მალედამც** შეაყრები შენ სწორთ(ჩოხელი, 2011, 176).

ზმნასთან დაკავშირებული საკითხები:

დაცულია უთემისნიშნო ზმნები დავადასტურეთ მხოლოდ აწმყოს მრავლობითი რიცხვის მესამე პირში, სხვა პირებში თემისნიშნიანია.

მერე განზე გადგა და შესძახა: - **წაგასლეკთ** თავებს! (ჩოხელი, 2011, 13).

მშობლებს დაჰყავდათ მკითხავენთან, ადგენდნენ ხატების მიზეზებს და ხოცდნენ შესაწირ საკლავებს(ჩოხელი, 2011, 148)

-მერე ვინ **გამითიბს**, ხო იცი, რომ ხელმართო კაცი ვარ(ჩოხელი, 2011, 573)

თუ შუადღემდე არ მოუბრუნდები ადამიანებს, ისინი შენ **მოგიკვეთენ** (ჩოხელი, 2011, 582)

იკუმშება -ავ და -ამ თემის ნიშნები: ლოც- ვ-ენ „ლოცავენ“, ა-სხ- მ-ენ „ასხამენ“

შეინიშნება თემის ნიშანთა თავისებური გამოყენება, რომელიც თავს იჩენს გ. ჩოხელთანაც:

ღმერთს **უთქომს**: ადამიანს ორი ბიჭი ჰყავდეს და ერთი ქალიო (ჩოხელი, 2011, 30).

-კარგი, ჰო, ნუღარ **ქოთობ**, გადავიხდი ჯარიმას- თქვა სებამ(ჩოხელი, 2011 , 97)

-მთელი ზაფხული იმრომე და ეხლა **სწვამ?**. ჩოხელი, 2011, 575)

ემ ბალღმა იმდენ ხანს იცოცხლოს, სანამ ხეზე **ახდომა** შეეძლებაო (ჩოხელი, 2011, 30).

აწმყოში ვნებითი გვარის მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის ფორმები -ი-ს დაბოლოებას ინარჩუნებენ.

შენარჩუნებულია ერთი რიგის სტატიკურ ზმნათა არქაული წარმოების პრონციპი, დაცულია აწმყოს მნიშვნელობით :უ-ნ-ა.

ნამყო უსრულში მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად გამოიყენებ - ენ.

-ევ-იან ზმნათა ნამყო ძირითადში დაცულია - ივ.

მთიულურ-გუდამაყრულში მკვიდრია ხოლმეობითის წარმოება , რომელიც სამი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: არქაული - ი სუფიქსიანი წარმოება, დიალექტური კე სუფიქსიანი წარმოება.

-კე შეიძლება დაერთოს აწმყო-მყოფადის, ნამყო უსრულის, საკუთრივ ხოლმეობით ფორმებს.

ბრძანებითი ორი სახისაა: კატეგორიული და თხოვნით წაქეზებითი.

მთიულურ-გუდამაყრულს დაუცავს ძველი ქართულისებური წესით კატეგორიული ბრძანებითის ფორმათა წარმოება.

გამოიყენება ნამყო ძირითადის II პირის ფორმა, პირის ნიშნის გარეშე, თხოვნით - წაქეზებითი ბრძანებითი გამოიხატება:

ა) -ოდ-ე სუფიქსით

ბ) მყოფადის კავშირებითის ფორმებით

გარდამავალ ზმნათა I შედეგობითში -ავ და -ამ თემისნიშნისანი ზმნები ზიგჯერ ინარჩუნებენ აწმყოს ფუძეს, ოღონდ ეკვეცებათ მესამე პირის - ს ნიშანი. გვაქვს - ი სუფიქსისანი წარმოება (ჯორბენაძე, 1989, 275-288)

-ნ სუფიქსი თავს იჩენს გარდამავალ ზმნათა როგორც I ასევე II შედეგობითში. ორვალენტიან გარდამავალ ზმნათა II შედეგობითი მეშველი ზმნით იწარმოება.

გოდერძი ჩოხელთან აღნიშნული საკითხები გვხვდება შემდეგ მაგალითებში:

-ზოგჯერ ისე ჯავრი მამივაკე ჩემ თავზე, მეც დაწოვდი. (ჩოხელი, 2011, 30).

ჩამოქნეს წყვილი სანთელი, დააკრეს ორსავ რქაზედა“ (ჩოხელი, 2011, 585).

თუ ვინიცობაა, და კითხვის დროს მაგ კაცმა პირში რამე ჩაიდოს, იმ წუთში ხეთქეთ, რომ გადაყლაპვა ვერ მოასწროს (ჩოხელი, 2011, 49).

-აბა მაშ რაიმ რაი ვქნათ, ვისხდეთა ესე და ჭორიკანა დიაცებივით ვილაყბოთ?!- ფეხზე წამოენთო ხევსური (ჩოხელი, 2011,

თავი გააძემა მთავარსარდალმა (ჩოხელი, 2011, 41)

პრეფიქსისანი ვნებითის მრავლობითის არქაული ფორმები:

-მანამ ცოცხლები ვართ, ხომ გვინდა კარგად ვიყვნეთ (ჩოხელი, 2011, 48)

-რა მიზნით ჩაიდევი „ქინძისთავი“ პირში? (ჩოხელი, 2011, 50))

-დასდგოდე სახლში, იქაც სუ შეწუხებულა ვიყავდი და აქაც ეგე ხო არ ვიქნები (ჩოხელი, 2011, 70)

-შენ ხომ წახოლ იმ ქვეყანაში? (ჩოხელი, 2011, 72)

-გაგიმარჯოთ ჩოხლებო, კარგად იყვენით, სიკეთე და სიყვარული ნუ მოგიშალოთ ღმერთმა (ჩოხელი, 2011, 81)

-შინებია და იმად უქნევია გამეტებით ხანჯალი-იმახდა საქმის გამრჩევნი (ჩოხელი, 2011, 119).

მყოფადის წარმოების თავისებურებანი:

სულეთის ღმერთიმც **ჩაგვუბარებს**, ისიმც დაგაყენებს ნათელს, მშვიდობით ჯვარი გეწეროს ნათელშიმც იქნები!(ჩოხელი, 2011, 177).

მემრე თქვეს, ჟამი **მოვალის**(ჩოხელი, 2011 , 154

ხოლმეობითის ფორმები:

გული რომ იჯერესდა თავ-თავისი წილი შეშა **დაახალიკეს** ერთიმეორეს უმძრახად გაუხდნენ(ჩოხელი, 2011, 584).

-ჰო, სიზმარს კი **ვნახავთკეა** და სულიც ეგე არის, დადის არიარედ(ჩოხელი, 2011, 57).

ზოგჯერ ისეთ ქალებს **ვეხვეოდიკე**, გავიღვიძებდი(ჩოხელი, 2011, 72).

-სამუკაი ძალიან **აშურდებაკე** იმას, ვინც მე მაწყენინებს- თავი გამოიღო სამხარათ ქეთომ(ჩოხელი, 2011, 594).

-ცივ წყალს კი არ **დალევსკეა**, ვინ მიგდია სამუკაი!(ჩოხელი, 2011, 594).

წყვეტილის თავისებური ფორმები:

-რატო **ჰქენ**, შვილო ეგე- შეწუხდა ლელა(ჩოხელი, 2011, 595).

-**გასთიბეთუა**- მკითხა(ჩოხელი, 2011, 596).

მიარგინა იმის განცდა(ჩოხელი, 2011, 35).

სადამოთი **ჩამოაგულეს** თივა(ჩოხელი, 2011, 574)

-წედან აკი **სთქვია**, დრო აქვს და გაქრებაო(ჩოხელი, 2011, 57).

წყვეტილის მოკლე ფორმები:

ჩამოხე მამი!- უკიოდნენ გარსიას (ჩოხელი, 2011, 115).

სამუკამ ისე **თქო** , რომ მფრინავი თეფშები დადიან ცაში, ჰო, შენ **იცილია** აზა ეგ?(ჩოხელი, 201, 594).

- რას იტყოდა. ერთ რუსულ სიტყვას სადმე გაიგონებდა და იმას იტყოდა, **სხო** კი რა უნდა **ეთქო!** (ჩოხელი, 2011, 594).

ხანდახან ისე უნდა გააფხაო, როგორც მახვილს აფხავებენ ქასურით(ჩოხელი, 2011, 68).

ჯერ ის ადგილი დაჰკვლივეს კარგად, სადაც ცეცხლის პირას ქისტთა ბელადებს ჰქონდათ სუფრა გაშლილი(ჩოხელი, 2011, 135)

ქათამი, თოვლში პტკნიალებდა და მშველელს ემახდა(ჩოხელი, 2011, 144)

ზმნის პირიანი ფორმის გამოყენება სახელის ფუნქციით:

რა ვქნისა ციხე ავაგე(ჩოხელი, 2011, 154)

ნასახელარი ზმნის თავისებურება:

-კიდე ხო არაფერს ავადობო , შვილო - შემინებული შეეკითხა კვირია(ჩოხელი, 2011, 590).

I თურმეობითი:

ადგა,ხარმა მოახსენა: ,, მე დამიდვია თავზედა”(ჩოხელი, 2011, 585).

-გიპოვავ შენი პარასკევი და ეგ არის!- გადაჰკრა ბათარეკს ხირჩლამ(ჩოხელი, 2011, 142)

ზმნისწინები:

მო > მა ეს შემთხვევა ძალზე ხშირია:

-მამშორდით!- იყვირა გალილეიმ და ქათმებს ანიშნა მამყევითო. (ჩოხელი, 2011, 13).

-მამწყდი თავიდან ჩემო გამიხარდავ! (ჩოხელი, 2011, 22).

-მამგლეჯდა ვინმე და ჩავხმებოდი(ჩოხელი, 2011, 62).

-რო მაიხდი, მერე სად წახვალ(ჩოხელი, 43). უცებ გაცოცხლდა სხეული და ისევ კაცად მაიქცა(ჩოხელი, 2011, 69).

ამბობდა, ჯერ კი მამდევა დასაჭერად დედაიო(ჩოხელი, 2011, 53).

-ჰო არაფრად გადაიქცევა. მერე არაფერი ისევ რამედ **მაიქცევა** და ესე (ჩოხელი, 2011, 57).

-არ ვიცი, ალბათ ისეთი გული **მამცა რამანმე**, რომ არ მეშინია (ჩოხელი, 2011, 48).

-მე შენი საქციელი არ **მამწონს**, - უთხრა ჯღუნამ (ჩოხელი, 2011, 82).

შენ ვინც **მაგკლას**, მე **მამკლას**(ჩოხელი, 2011, 66).

დუმაცხოში ხუთი ქისტის **მამკლავი** გაგილაი გარდაიცვალა(ჩოხელი, 2011, 34).

-ავი ამბავია, ძალიან ავი ამბავი, ან ომი **მახდების** დედამიწაზე და ცამესკვლევთ ერთი მესკვლევი დააკლდების **ანდა** ხახლის გაჟუჟვა **მახდება** დედამიწაზე(ჩოხელი, 2011, 140).

-გაიზარდა ის ბალღი, **მაიყვანა** ცოლი, იმ ნიგზურაის ამბავიც უთხრეს თავის დედას (ჩოხელი, 2011, 30). -მათ გასასვლელი იციან, თუ არ მივეპარეთ გაგვეფანტებიან და ერთასც ვერ **მაგკლავთ**(ჩოხელი, 2011, 135).

ბალღებო **მააშორეთ** აქედან ძაღლები!- ბრძანა ბათარეკმა(ჩოხელი, 2011, 144).

-რაი ვიცი, ჩვენ სოფეში ვიდაცეები **მაეხეტუნენ**(ჩოხელი, 2011, 141).

-**მაიცა** ბერდიაგ, აბა კარგად გახედე-ხელით ანიშნა ძმას გაგიმ(ჩოხელი, 2011, 131).

-არ **მამაკვლევინო**, კაცო ჯერ სანდრუამ დამაყვედრა ის ოთხი მანეთი, ახლა აქილევსი წამოაყრანტალებს რასმესო(ჩოხელი, 2011, 596).

- **მაიცა** ერთი წუთითა- მიამახა მძლოლმა (ჩოხელი, 2007, 31).

აი **მამიკვდა** თავი, **აგრიაა** (ჩოხელი, 2007, 46).

ჩამო > ჩამა

მთელმა ტყეებმა ტოტები **ჩამაილეწეს** აღარ ივიწყებდნენ(ჩოხელი, 2011, 35).

დამარხა მკვდარი და ტირილით **გადამგლოვა** კიდეც(ჩოხელი, 2011, 35).

-ბაღლო, წითელი დედალი რო გყავს, ის **ჩამაიყვა!**- გასძახა შვილს ბათარეკმა(ჩოხელი, 2011, 144).

-თოკიც **ჩამაიტა!**- ისევ გაგზავნა ბაღლი ბათარეკმა(ჩოხელი, 2011, 144).

წადი, ჯერ ბოჩოლაის თავი **ჩამაიტანე** (ჩოხელი, 2011, 45).

წამო >წამა

მერე წამაიზარდა ის ბიჭი და ცალკე ოთახში აწვენდა თავის დედა(ჩოხელი, 2011, 52).

წამომყევი მთაზე, და ე ბალიც წამაიყვანე-თქვა ლენჯა(ჩოხელი, 2011, 71).

მთაზე რო ავიდნენ წამააქცია ცოლი და დააბჯინა ხანჯალი (ჩოხელი, 2011, 71).

წამაიყვანე სტუმარიც, წამაიყვანე (ჩოხელი, 2007, 64).

გამო >გამა

-აბა ამ თოვლში საით გამაჩნდება, შაბათი რო იყოს ან ხუთშაბათი?(ჩოხელი, 2011, 140).

გამაიარა გზაზე ათნოხელმა გორიამ, დაიილიავა ნათლიდედა და მოაფარა ტყეში(ჩოხელი, 2011, 70).

საცა აქამდე არ გამაჰკლებია დიდ შვიდეულს, ეხლა რაისთვის გამააკლდებოდა?(ჩოხელი, 2011, 140).

-სათემო ხატი გამააბრძანე, ბიბლაო (ჩოხელი, 2011, 22).

-სიკვდილი რომ გამაიგონა ღმერთმა , იფიქრა , მოდი გამოვცდიო და ჯერ ქვას

შე > შა

ჯავრი შავაბი კარადა (ჩოხელი, 2011, 154).

სისხლში მიზის ვიღაც და მეძახის: -გვარი არ შავვირცხვინო ბაღლო!(ჩოხელი, 2011, 65).

-რისთვის ბადებ უბედურსა, რისთვის შაჰყრი მთვარე-მზესა-წაიკითხა მამამ(ჩოხელი, 2011 186).

შაეყრები შენ სწორთ(ჩოხელი, 2011, 176).

შააწუხა ცოლმა წყევლით და მერე გაექცა(ჩოხელი, 2011, 50)

შამო სახლში როგორ დაგვივიწყე(ჩოხელი, 2011, 71).

სანამ ხორცს მოვიტანდეთ, პურაო შაჰამე-ქადის კვერი მიაწოდა

-აემ ჩემს სხეულს ხომ ხედავთ, ამას შავიტან სახლში (ჩოხელი, 2011, 69).

დეკანოზმა(ჩოხელი, 2011, 82).

-არ შავენანა?(ჩოხელი, 2011, 84).

„აესრემც შაუკრვის პირი მგელს, რომელმაც ჩემი ძროხიას შაჰმა მაინდომოს (ჩოხელი, 2011, 33).

-უშვილო ვინმე წაიკითხავს და გულს **შამაკლდება**(ჩოხელი, 2011, 35).

ი, ბიჭის დედამ აილო ნიგზურაი, ჩააქრო და **შაინახა**(ჩოხელი, 2011, 30).

-რატო ვერ **შასძლებდი**? (ჩოხელი, 2011, 30).

-მე ეგე ვფიქრობ.მამ რამ უნდა **შაჭამოს**, რომ **ვთქოთ**?(ჩოხელი, 2011, 30).

დედამიწა რატო ჰქვია- ომსაც **შაიშრობს** და სისხლსაც (ჩოხელი. 2011, 31).

-არ **შაგწყინდებათ**?(ჩოხელი, 2011, 84).

შაგვრეკე მერე ჩვენც შიგ და კედლებზე ჩამოგვკიდე(ჩოხელი, 2011, 98).

-საით **შაიტყვეთ**, რა მოხდა?-იკითხა ჯარჯიმ(ჩოხელი, 2011, 122).

-საით **შაგვასწრეს** ამ რჯულმაღლემა!-თამბაქო **გადააპურჭყა** ბებერმა ბათერეკამ(ჩოხელი, 2011, 134)

ზედ **შაუბი** საყვირები, წნელები გადაბმულია(ჩოხელი, 2011, 586).

შავაბი აპურები, ახალი დაგრეხილია(ჩოხელი, 2011, 586).

შავაბი ღელი ხარი, რქა- კუდით **შამკობილია**(ჩოხელი, 2011, 586).

ვეტყვი, **შავეხვეწები**, ხუთ თივაზე მეტს ნუ ჩამოართმევ-მეთქი(ჩოხელი, 2011, 596).

- ახი კი არის, **შაკრას** სოფელმა პირი (ჩოხელი, 2007, 36).

- უცებ წყლიდან ცხადად ხმა **შამამესმა** (ჩოხელი, 2007, 40).

- ღმერთო შენ **შაგვინახეო!** (ჩოხელი, 207, 49).

ისე **შაფრინდა** ზეცაში(ჩოხელი, 2007, 50).

ჰოდა იარე ასე ერთთავად **შახივით** შახვეულმა (ჩოხელი, 2007, 112).

აიმზე არ **შავჯდებოდი**, რო მილიონი რასმე მიეცა (ჩოხელი, 2007, 116).

ჭირმა **შაჭამოს** იმისი თავი და იმ გველეშაპმა გამოუხრას ძოღმანიო (ჩოხელი, 2007, 118).

იქნებ სადმე ვიპოვო. რამენაირად ზედ მოვახტე და **შავალონო**, **შავაწუხო** (ჩოხელი, 2007, 122).

-ვერ **შავძლებდი**, ვერ გადავიტანდი (ჩოხელი, 2011, 30).

3.4. ნაწილაკ-მორფემოიდების საკითხი

ნაწილაკ-მორფემოიდებიდან დასტურდება -ა კითხვითი ნაწილაკ-მორფემოიდი, -მცა მორფემოიდი, დასტურდება - ყა მორფემოიდი(ჯორბენაძე1989, 275-288)

აღნიშნული ნაწილაკ-მორფემოიდები(**-მცა, -კე, -ლა, - ვე ნაწილაკები**) თავს იჩენს გოდერძი ჩოხელთანაც:

ზამთრობით კაცები ცხვარში მიდიან, ახალგაზრდები- ქალაქში და გუდამაყარი ქალებსა და **ბავშვებს**ღა რჩებათ. (ჩოხელი, 2011, 10).

ამის მერე შავი მოხუცი **იშვიათად**ა იღებდა ხმას(ჩოხელი, 2011, 178).

ამის მერე შავი მოხუცი **იშვიათად**ა იღებდა ხმას(ჩოხელი, 2011, 178).

-ე ცული **რადლა** გინდა?-გაუკვირდა გორიას(ჩოხელი. 2011, 71).

-აი იმ კარგა ყონას რა **თავში**ლა ვიხლით, თუ მერე აღარცრა ვიარსებებთ.(გ. ჩოხელი, 2011, 48).

ერთი ბრჭყალი **ტყავით**ლა ება(ჩოხელი, 2011, 64).

მუშებმა ხუთი **თივალა** დაუტოვეს გამიხარდაის(ჩოხელი, 2011, 575).

-არვიცი,, რომ მარხავენ, **გაუხსნიან**კე(ჩოხელი, 2011, 31).

-ჰო, სიზმარს კი **ვნახავთ**კეა და სულიც ეგე არის, დადის არიარედ.(გ. ჩოხელი, 2011, 57).

ზოგჯერ ისეთ ქალებს **ვეხვეოდი**კე, გავიღვიძებდი და სადღაა ქალები“(ჩოხელი, 2011, 72).

ჩვენი ლაშქარი **დიდებით**კე გზას ადგას(ჩოხელი, 2011, 73).

-სამუკაი ძალიან **აშურდება**კე იმას, ვინც მე მაწყენინებს- თავი გამოიღო სამხარათ ქეთომ(ჩოხელი, 2011, 594).

-ცივ წყალს კი არ **დალევს**კეა, ვინ მიგდია სამუკაი!(ჩოხელი, 2011, 594).

ჩვენი ლაშქარი **დიდებით**კე გზას ადგას(ჩოხელი, 2011, 73).

-ღმერთო ნათელში ამყოფე წასულების სულები და იმათ **წინაშემც** იდგმება ეს სუფრა(ჩოხელი, 2011, 141).

სულეთის **ღმერთიმც** ჩაგვუბარებს, ისიმც დაგაყენებს ნათელს, მშვიდობით ჯვარი გეწეროს ნათელშიმც იქნები!(ჩოხელი, 2011, 177).

-ღმერთო ნათელში ამყოფე წასულების სულები და იმათ **წინაშემც** იდგმება ეს სუფრა(ჩოხელი, 2011, 141).

-შენამც გახეირებს ღმერთი , ჩემო კვირიავ!(ჩოხელი,2011, 593).

ჩქარადვე ამობრუნდა უკამ(ჩოხელი, 2011, 112).

-კაი სიზმარი არცა გინახავს?(ჩოხელი, 2011, 72).

სიტყვათწარმოება.

მთიულურ-გუდამაყრულში გვხვდება -ელ და -ურ წარმომავლობის სუფიქსები.

პროდუქტიულია -იარ სუფიქსი.

-ობა სუფიქსით გამოიხატება: კრებითობა, მოსაქმეობა.

რთული -ობრ-ივ გამოხატავს სხვადასხვა მნიშვნელობას იმის მიხედვით, თუ რომელ ფუმეს მიერთვის.

სასუბიექტო მიმღეობა იწარმოება: ოდენ მ- პრეფიქსით, მ-ე, მ-ო, ,-იარე , მე-ურ ცირკუმფიქსებით.

ნამყო დროის საობიექტო მიმღეობებში ზოგჯერ -ილ არის მოსალოდნელი -ელ სუფიქსის ნაცვლად.

პროდუქტიულია აბსტრაქტულ სახელთა წარმოება სი-ე ცირკუმფიქსით.

კნინობით ფორმათა ძირითადი მაწარმოებელია -ა (ჯორბენაძე, 1989, 275-288)

აღნიშნული მოვლენებიდან გოდერძი ჩოხელთან არ გვხვდება მსგავსი წარმოება .

3.5. სინტაქსის საკითხები

მთიულურ -გუდამაყრულში რაოდენობითი რიცხვითი სახელების მსაზღვრელად გამოყენებისას საზღვრული ხშირად მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი.

გვაქვს შემთხვევები, როცა მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება. მაგრამ აღინიშნება სახელობითში დასმული სახელის მრავლობითობა.

შეინიშნება სახელისა და ზმნის რიცხვში აზრობრივად შეთანხმების ტენდენციაც.

„დაპატიჟა“ ზმნა ქმნის არქაულ კონსტრუქციას.

გამოსვლითობის ფუნქციით გამოიყენება უთანდებულო ნათესაობითის ფორმები.

ეზინია, სცხვენია, მოეწყინება ტიპის ზმნებთან არქაული კონსტრუქციაა დაცული.

თავს იჩენს სინტქსური ელიფსის შემთხვევები. უპირატესად რთულ წინადადებებში(ჯორბენაძე, 1989, 275-288).

აღნიშნული პროცესები გ. ჩოხელთან ვერ დავადასტურეთ.

3.6. ლექსიკა

მთიულურ-გუდამაყრულში უხვადაა წარმოდგენილი მესაქონლეობის, მიწათმოქმედების, მშენებლობის ლექსიკა, (ჯორბენაძე, 1989, 275-288) რომელთა მაგალითებიც არ გვხვდება გოდერძი ჩოხელთან, თუმცა გოდერძი ჩოხელს ახასიათებს თავისებური ლექსიკა:

გამოიტანა თავისი სხეული, სულ ჩაკიტკილაულ-ჩაჭიავებული(ჩოხელი, 2011, 69).

-კაი სიზმარი არცა გინახავს?(ჩოხელი, 2011, 72).

-მინახია, მაგრამ ეშმაკათავინა(ჩოხელი, 2011, 72).

დეკანოზი მისდევდა ზარ-ბაურაყის ჟღლიალით(ჩოხელი, 2011, 78).

კეჭნიდნენ ერთურთს ხატობებში(ჩოხელი,2011,118).

-თქვენ გენაცვალეთ ჯეელებო. თქვენა დაგლოცოთ დალანგურის წმინდა გივარგამ(ჩოხელი, 2011, 122).

დიდება სამართალს ხეთისასა(ჩოხელი, 2011, 123).

გული რომ იჯერესდა თავ-თავისი წილი შემა დაახალიკეს ერთიმეორეს უმძრახად გაუხდნენ(ჩოხელი, 2011, 584).

-ქვემოთას რომ ესროლო, რა იქნება მამავ(ჩოხელი, 2011, 132).

დილით რომ გაიღვიძა, ერდოში ხელისტოლა ფრტენებს მოჰკრა თვალი აპარეკამ(ჩოხელი, 2011, 141).

-ვნახავ და კარგ ხეირსაც შეეყრება, ავკაფავ ხვთის მაღლმა (ჩოხელი, 2011, 142).

მაღლებს არ დასჭირვებიათ გაჯავრდომა, კუდამოძუებულები მოსცილდნენ იქაურობას(ჩოხელი, 2011, 144).

-გიჟი ხარ, შენი ადგილი საგიჟეშია(ჩოხელი, 2011, 150).

საგიჟეში უნდა წავაყვავინო შენი თავი!(ჩოხელი, 2011, 150).

ჰამო, ჰო, ჩემო წიქარავ, მიდი გენაცვალე, მიდი!-ამხნევებდა კაცი ხარს(ჩოხელი, 2011, 586).

მოუჭერ სახლმე შუაზე, შემოულერე ყელიცა(ჩოხელი, 2011, 586).

ელიასათვის დაგორებული ციკანი დაიჭირეს და „სამთიბლო სახმთო ქნეს(ჩოხელი, 2011, 590).

ერთი დიყის ფეხიც კი აღარ იბადებოდა არსად(ჩოხელი, 2011, 591).

- ხვალ ამდროზამდისაც ძლივს მივიდოდა სახლამდე (ჩოხელი. 2007, 31).

-ბებერაი მობრძანდება!- ურტყამდა ჯოხს და აბურჯხლებდა ცეცხლწაკიებულ მორს(ჩოხელი, 2011, 164).

დასკვნა

1. XX საუკუნის II ნახევრის ქართულ მწერლობაში გოდერძი ჩოხელი ერთერთი იშვიათი გამონაკლისია, რომელიც ღირსეულად აგრძელებს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ტრადიციებს სალიტერატურო ქართული ენისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით.

2. გ. ჩოხელი არა მარტო მუხლჩაუხრელად და ერთგულად ემსახურება ქართულ ენას თავისი მწერლობითი და კინომატოგრაფიული მოღვაწეობით, არამედ მსჯელობს კიდევაც (და პერსონაჟებსა ასაუბრებს) ქართულ ავ-კარგზე. მისი აზრით, „მწერალი უნდა ცდილობდეს, სანთელივით ენთოს მშობლიური ენის ტაბლაზე, რათა უფრო განათდეს ამ ტაბლაზე უხვად მიმობნეული და ხანდახან ჩრდილში მყოფი, სხვათათვის შეუმჩნეველი სიტყვები... როცა მწერალი მოკრძალებული და მონა მორჩილია დედა ენის, მაშინ დედა(ენაც) ლოცულობს შვილისთვის და ღვთის დიდ მადლად იღვრება მწერალთა მიერ დაწერილ ყოველ სიტყვაში” . პერსონაჟები ერთმანეთს მიმართავენ : „შეგაჩვენოს ღმერთმა ქართული და ესპანური ენის დამამახინჯებელი”, ან: „ქართულს ნუ ამახინჯებ-მეთქი, შე ჯოჯოხეთის გუბერნატორო”...

3. განსაკუთრებულია გ. ჩოხელის დამოკიდებულება ქართულ ზეპირსიტყვიერებისადმი. იგი მშობლიური დიალექტის - მთიულურ-გუდამაყრულოს ენობრივი სამყაროდან შემოვიდა ქართული ენის საუფლოში და ამიტომაც შემოიტანა ამ დიალექტის სურნელი.

4. მის მიერ გაცოცხლებული ქართული სამყაროს ასახვისათვის, ქართველ პერსონაჟთა დახატვისათვის გ. ჩოხელს აუცილებლად მიაჩნია მხატვრულ ნაწარმოებში შემოიტანოს მთიულურ-გუდამაყრული დიალექტის თავისებურებანი.

5. მთიულურ-გუდამაყრული აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოთა შემადგენლობაში შედის და გამოირჩევა ცალკეულ არქაულ მოვლენათა მქონელობით და ასევე, საინტერესო ინოვაციებით.

6. გ. ჩოხელი მთიულურ-გუდამაყრული დიალექტისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს ჩვეულებრივ გამოიყენებს პერსონაჟთა მეტყველებაში. აქ ამ

თავისებურებათა დანიშნულებაა გარკვეული კოლორიტის შექმნა, პერსონაჟთა ხასიათისა და ბუნების უფრო ნათლად წარმოჩენა.

7. უნდა ითქვას, რომ დიალექტიზმებით გ. ჩოხელის პროზა ზომიერად არის გაჯერებული; არ შეიმჩნევა გადაჭარბება. ამ მხრივ იგი აგრძელებს ჩვენს კლასიკოსთა მიერ დამკვიდრებულ ღირსეულ ტრადიციებს.

8. დიალექტიზმების გამოყენების საქმეში მწერლის ზომიერება და შეგნებული დამოკიდებულება იქიდანაც ჩანს, რომ გ. ჩოხელის მოთხრობებში არ გვხვდება ყველა თავისებურება, რაც დამახასიათებელია მისი მშობლიური დიალექტისთვის. აქაც გ. ჩოხელი იმ ტრადიციის გამგრძელებლად გვევლინება, რომელიც დაამკვიდრეს ვაჟა-ფშაველამ და დავით კლდიაშვილმა.

9. მთიულურ-გუდამაყრული დიალექტის თავისებურებათგან გ. ჩოხელის შემოქმედებაში ვერ დავადასტურეთ:

მთიულურ-გუდამაყრულისთვის დამახასიათებელი ჯ ბგერა, ასევე, არ დასტურდება **ღ** (იოტას) გამოყენების შემთხვევები,

მთიულურ-გუდამაყრულისთვის დამახასიათებელი რეგრესული ასიმილაცია, რეგრესული დისიმილაცია, აღსანიშნავია თანხმოვანთა სუბსტიტუცია: **ვ:მ**

მთიულურ-გუდამაყრულისთვის დამახასიათებელი ბგერის გაჩენის შემთხვევები.

მთიულურ-გუდამაყრულისთვის დამახასიათებელი სონანტის მახლობლად სპირანტის აფრიკატიზაცია და სპირისპირო მოვლენის შემთხვევები დეზაფრიკატიზაცია, (ჯორბენაძე, 1989, 275-288) რომლებიც თავს არ იჩენს გოდერძი ჩოხელთან.

მთიულურ-გუდამაყრულში უხვადაა წარმოდგენილი მესაქონლეობის, მიწათმოქმედების, მშენებლობის ლექსიკა, (ჯორბენაძე, 1989, 275-288) რომელთა მაგალითებიც არ გვხვდება გოდერძი ჩოხელთან.

10. გ. ჩოხელის მოთხრობებში გამოყენებული იქნა შემდეგი სახის დიალექტიზმები:

ბოლოკიდური პოზიციის ცვეთა იკარგება სახელობითი ბრუნვის ნიშანი, თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან:

-რას ამბობ ,**დიაცებ** ხო არ ვართ?!-იწყინა მგელიკამ (ჩოხელი, 2011, 134).

ლაზიალურ კომპლექსთა ცვლილებანი:

ა) **ქა >ვა// ვე >ო დასტურდება ყველა პოზიციაში :**

მთორიან ღამეში წაიყვანა ქალმა ბალდი საყორნის ტყეში (ჩოხელი, 2011, 52).

ბ)**ქე//ვე >ო დასტურდება ყველა პოზიციაში :**

-აბა რა ვიცი, არის რამ კიდა თორე, რამ გააჩინა ეს **ქოყნიერობა** (ჩოხელი, 2011, 48).

თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს სახელობით ბრუნვაში ჩვეულებრივ დაერთვის ბრუნვის ნიშანი, თუმცა გვაქვს მისი მოკვეცის შემთხვევებიც. ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთაგან - ი დაერთვის ორ და მეტმარცვლიან სიტყვებს და ისიც , როგორც წესი, -ა ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს:

მართაი ნინიასთან გადავიდა(ჩოხელი, 2011, 44).

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ხმოვანფუძიანებთან -ის, ნაცვლად -ს სუფიქსისა:

რამდენიმე დღის მერე **ღენჯაის** ცოლმაც იმ გზით ჩაიარა(ჩოხელი, 2011, 70).

-ზე -ზედა ფონეტიკური ნაირსახეობით:

ადამიანის დარჩენა ვერვინ ვერ იდვა **მხარზედა**(ჩოხელი, 2011, 585).

-თვის გვხდება -თვინ//თვინ.

-მდე -მდი//მდის -კენ წარმოდგენილია როგორც -კე მთიულურ-გუდამაყრულში, რომელიც დასტურდება ასეთივე სახით გოდერძი ჩოხელთან.

ზემოთიდან წამოეპარა ჯიხვებს მონადირე(ჩოხელი, 2011, 12).

სახელთა მრავლობითი რიცხვი იწარმოება - ებ და -ნ//-თ (ა) სუფიქსებით., -ნ//-თ(ა) იხმარება შტო-გვარის, ოჯახის სახელების საწარმოებლად:

სვიმონიანთ მართაი დაინახა და ჰკითხა, ვისი თივებიაო(ჩოხელი, 2011, 595).

კოტორიანნი შეშინებულები მისდევდნენ უკან (ჩოხელი, 2011, 51).

კითხვითი ნაცვალსახელები:

-უდღეო დღეს ხატში რაისთვის ასულხარ სებაჟ?!-გაიკვირვა აპარეკამ (ჩოხელი, 2011, 100).

ჩვენებითი ნაცვალსახელები გვხდება შემდეგი ნაირსახეობით, რომელიც თავისებური ვარიანტებია :

ემ ბალღმა იმდენ ხანს იცოცხლოს, სანამ ხეზე ახდომა შეეძლებო (ჩოხელი, 2011, 30).

კავშირები შემდეგი სახით გვხვდება:

თორემ > თორე > თორო:

-თუ აორთქლდება, **თორო სხოგან** სად უნდა წავიდეს, აღარ ვიცი (ჩოხელი, 2011, 31).

დაცულია უთემისნიშნო ზმნები დავადასტურეთ მხოლოდ აწმყოს მრავლობითი რიცხვის მესამე პირში, სხვა პირებში თემისნიშნიანია.

მერე განზე გადგა და შესძახა: - **წაგასლეკთ** თავებს! (ჩოხელი, 2011, 13).

პრეფიქსიანი ვნებითის მრავლობითის არქაული ფორმები:

-მანამ ცოცხლები ვართ,ხომ გვინდა კარგად ვიყვნეთ (ჩოხელი, 2011, 48)

ხოლეობითის ფორმები:

გული რომ იჯერესდა თავ-თავისი წილი შემა **დაახალიკეს** ერთიმეორეს უმძრახად გაუხდნენ(ჩოხელი, 2011, 584).

მყოფადის წარმოების თავისებურებანი:

სულეთის ღმერთიმც **ჩაგვუბარებს**, ისიმც დაგაყენებს ნათელს, მშვიდობით ჯვარი გეწეროს ნათელშიმც იქნები! (ჩოხელი, 2011, 177).

ზმნისწინები:

მო > მა , ჩამო > ჩამა, წამო > წამა, გამო > გამა, შე > შა:

-**მამწყდი** თავიდან ჩემო გამიხარდავ! (ჩოხელი, 2011, 22).

-**ვერ შავძლებდი**, ვერ გადავიტანდი (ჩოხელი, 2011, 30).

მთელმა ტყეებმა ტოტები **ჩამაილეწეს** ადარ ივიწყებდნენ(ჩოხელი, 2011, 35).

-**აბა ამ თოვლში საით გამაჩნდება**, შაბათი რო იყოს ან ხუთშაბათი?(ჩოხელი, 2011, 140).

ნაწილაკ-მორფემოიდებიდან დასტურდება -ა კითხვითი ნაწილაკ-მორფემოიდი, -მცა მორფემოიდი, დასტურდება - ყა მორფემოიდი (-**მცა, -კე, -ლა, -ვე ნაწილაკები**)

(ჯორბენაძე1989, 275-288)

მუშებმა ხუთი **თივალა** დაუტოვეს გამიხარდაის (ჩოხელი, 2011, 575).

-**არ ვიცი**, რომ მარხავენ, **გაუხსნიანკე** (ჩოხელი, 2011, 31).

11. დიალექტიზმების გეგმაზომიერი და მიზნობრივი გამოყენება იქცა გ. ჩოხელის ენობრივი სტილის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961 - ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1, თსუ გამომცემლობა, თბ., 1961
2. გოგოლაშვილი, 2013 - გ. გოგოლაშვილი, ქართული სალიტერატურო ენა (ნარკვევები), თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2013.
3. გოგოლაშვილი, არაბული, 2017 - გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული, ახალი ქართული ენა, ტ. III, სუ გამომცემლობა, თბ., 2017
4. გოგოლაშვილი 2019 - შვენებით სავსე ქართული, თსუ გამომცემლობა, თბ., 2019
5. გოგოლაშვილი, 2019 - გ. გოგოლაშვილი, სალიტერატურო ენის ნორმა და დიალექტური ნორმა, საენათმეცნიერო ძიებანი, ბ. ჯორბენაძის საზოგადოება, თბ., 2019
6. ჩოხელი, 2010 - ჩოხელი, თხზულებანი ხუთ ტომად, ტომი III, საქართველოს მაცნე, თბილისი, 2010
7. ჩოხელი, 2011 - ჩოხელი, ოთხი რომანი, მოთხრობები, თბილისი, გამომცემლობა „ბაკმი“, 2011
8. წიკლაური, 2010 - მაია წიკლაური, გოდერძი ჩოხელი- შემოქმედება საზღვრების გარეშე, გამომცემლობა „გიორელი“, 2010
9. ხორბალაძე, 2015 - გ. ხორბალაძე, გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2015
10. ჯორბენაძე, 1989 - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტომი I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1989.
11. ჯორბენაზე, კობაიძე, ბეროძე, 1988 - ბ. ჯორბენაზე, მ. კობაიძე, მ. ბეროძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988